13 ივნისს „გარეჯოზაა“ — გილოცავთ!

გარეჯის მცნე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №11(193) 2019 წ. 1-15 ივნისი ფასი 1 ლარი

დრო – გაქცეული, მაგრამ ჩარჩენილი უდაბნოს მონასტრებში

XIX საუკუნიდან დანახული გარეჯი

უდაბნო ესე მდებარეობს ტფილისის მაზრაში ქ. ტფილისიდამ 60 ვერსტზედ, გარეთ გახეთში, სოფელ საგარეჯოს სამხრეთისკენ, ერთს მთიან ადგილზედ, განშორებული ყოვლის მხრით სოფელს, ტყეს და წყალსა არა უმცირეს 30-ის ვერსტისა, ფრიად ცხელსა და ყოვლითურთ უპოვარს ალაგზედ.

ეს უდაბნო დაარსებულია 562 წელსა, შემდგომ ქრისტესა, ღირსისა და ღმერთ-შემოსილის მამისა ჩვენისა, ქართველთ მნათობისა დავით გარესჯელის მიერ, რომელიც იყო იმ ათ-ცამეტთა მამათაგანი, რომელთაც გამოეცხადა ყოვლად-წმინდა ღვთის მშობელი და უბრძანა, რათა წამოსრულ იყვნენ სირიიდამ გასავრცელებლად ქრისტიანობისა საქართველოსა შინა.

ესე წმინდანი მამები მოვიდნენ საქართველოში მეექვსე საუკუნეში; თითოეულმა მათგანმა დაისადგურეს სხვა და სხვა ალაგებზედ: ქართლში და კახეთში, სადაც ხალხში ამტკიცებდნენ წმინდა ნინოსგან ქადაგებულს ქრისტეს სარწმუნოებას.

წმინდა და საკვირველთ-მოქმედი დავით, როგორც მყუდროების მოყვარე, განშორდა სოფლის შფოთს და ამბოხებას - დაისადგურა ამა ალაგზედ, სადაც იღვწოდა და აღვიძებდა მოწაფეთა მისთა სარწმუნოების გავრცელებისათვის, რომლისაგამო აღშენდა თორმეტი მონასტერი, რისთვისაც იწოდებოდა ადგილი ესე „მრავალ მთის უდაბნოდ“.

წმინდა დავითის ლავრა. კარიბჭე

კაცი უცნობი და უვალი ამ ადგილებში, მომავალი ჩრდილოეთიდამ სამხრეთისკენ, შემდგომ თვალ უწვთენელ მინდვრებით სიარულისა ამ უდაბნოში, პირველად შეხედავს მთის თავზე მაღალ საყარაულო კოშკს ოთხ კუთხიანს, აშენებულს ქვიტკირით კლდეზე.

მოუახლოვდება რა ამა მთის ძირს, მოულოდნელად შეხვდება გზის პირად მარჯვნით აღმართულ კლდეში გამოკვეთილს ერთს სენაკს და სხვა ასავალ ჩაჭრილ კიბეებს და ამოკვეთილ ღარებს. ქვემოთ ამისა ნახავს ორს ჭას ამავე კდლისაგან ამოკვეთილს, რომლის ამოკვეთილ ღარების ქვემოთ არიან დარგული ნუშის და ატმის ხეები თავის დროზედ მსხმოიარენი.

კაცი მოსრული ამ მთის ძირში, უეცრად ნახავს დიდს კარს დაკეტილს, აღმოსავლეთისკენ მხედველს, მცირე კედელს და სახლის კუთხეს ქვითკირით ნაშენსა, და გაოცდება ამგვარ შემთვევათათვის ამისთანა უდაბურს ალაგზედ.

აქ შესავალი კარის თავზედ მიიქცევენ მნახველის ყურადღებას გამოხატულებანი და ამგვარი წარწერილობა ხუცურის ასო-მთავრულით: ***„განმიხვენით მე ბჭენი სიმართლისა შევიდე მასშინა და აუარო უფალსა ესე არს ბჭე უფლისა და მართალნი შევლენ მას შინა ქორონიკონს ტპგ (383).***

ამ ქვაზედ არის ამოჭრილი სამი ირემი ნუკრიანი, მაგალითი იმისი, რომ უფალმან იცის პირუტყვთაცა - ნადირთაგან გამოზრდა მოშიშთა მისთა, როგორც იზრდებოდა წმიდა დავით და მოწაფე მისი ლუკიანე; როდესაც აქაურმა ცხელმა ჰაერმა გაახმო ის ბალახიც, რომელთაც ეს მამები ხმარობდნენ საჭმელად, მათ მოითმინეს შიმშილი და წყურვილი; მაშინ ღმერთმა მოუვლინა ირმები, ყოველ საღამოს მოვიდოდნენ, როგორც შინაური საქონელი, მივიდოდა ლუკიანე და მოსწველიდა მათ; რძეს მიართმევდა წმიდა დავითს, დასახავდა იგი ჯვარს და შედგებოდა ყველად.

კარიბჭის წარწერა



გაგრძელება მე-2 გვერდზე

ძვირფასო გარეჯელებო!

13 ივნისს, 12 საათზე, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსში,

ჩიჩხიტურთან გაიმართება სახალხო ზეიმი

„გარეჯოზა“

ერთად აღვნიშნოთ

„გარეჯოზა“!

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია;

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო;

საქართველოს პარლამენტის წევრის საგარეჯოს დეპუტატის ბიურო.

„ინფრასტრუქტურა- 2019“

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ თულარში, „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში გარე განათების სისტემის მონტაჟი მიმდინარეობს.

ქ. საგარეჯოში, მარჯანიშვილის ქუჩაზე ასფალტის საფარის მეორე, წვრილმარცვლოვანი ფენით მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

პარალელურ რეჟიმში, სანიაღვრეების, გვერდულებისა და ტროტუარების მშენებლობის სამუშაოებიც ხორციელდება.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ჩაილურში, ცენტრალური სარწყავი არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო.

ქ. საგარეჯოსა და მუნიციპალიტეტის მასშტაბით- ყველა სოფელში დაზიანებული ასფალტ-ბეტონის ორმოული შეკეთების სამუშაოები მიმდინარეობს.

დრო – გაქცეული, მაგრამ ჩარჩენილი უდაბნოს მონასტრებში

XIX საუკუნიდან დანახული გარეჯი

<u>**გაგრძელება**</u>

აქვე არის ამოჭრილი ერთი არწივი და მისს კლანჭებს ქვეშ სძევს თევზი ორაგული, ნიშნად მისსა, რომ, როდესაც ამ უდაბნოს მოღვაწე მამებს ერთს ბზობა დღეს არ ჰქონდათ არც თევზი და არც მხალი, მათ მოახსენეს წინამძღვარს, თუ რითი ინუგეშონ ხორცის უძლურებისათვის; მაშინ უბრძანა მამამ ორ ძმას, რომ გავიდნენ ველზე და მოძებნონ მწვანვილი მინდვრისა. - ერთი წავიდა ჩიჩხიტურის მხრით და მეორე დოდოს უდაბნოსკენ; მწვანვილის ძებნაში ერთ მათგანის წინ დაეშვა არწივი და დააგდო თევზი ცოცხალი ორაგული. მაშინ ბერმა სიხარულით ხმა უყო ძმასა თვისსა: „თევზი, თევზი!“ მოვიდა იგი და ორთავემ მოართვეს წინამძღვარს, რომელმაც ბრძანა: „იოანნე მახარებელმა გამოგვიგზავნაო“. ამ დროიდამ უნდა იყოს ხალხში ხმარებული ის, რომ უქონლობის დროს იტყვიან ხოლმე: „იოანე მახარებელი გამოგვიგზავნის“.

ამავე ქვაზედ არის ამოჭრილი სახე ორის ყორნისა, რომელთაც მიმფრინავთ ნისკარტით მიაქვსთ ვაშლები. ეს არის სახსოვარი მისი, რომ ამ ლავრაში იდგა

ვაშლის ხე მოსხმული, ამის ნაყოფისგან ყველა ძმები საერთოდ სჭამდნენ დროსა პურის ჭამისასა ტრაპეზსა ზედა.

წმ. დავითის ლავრა

(XX საუკუნის 10-იანი წლების ფოტო)

ამ ვაშლისგან ჩუმად იკრიფებოდა ვაშლები; მაგრამ ვერა გაიგეს-რა. ბოლოს წინამძღვარმა ინება დარაჯის დაყენება, რომელმაც ნახა, რომ ორი ყორანი მოვიდნენ, მოსწყვიტეს ნეკრები ვაშლითურთ და შეიტანეს ერთს კლდეში; ცნობის მოყვარე კაცმა ისურვა ნახვა იმ ადგილისა, საცა ყორნებმა შეიტანეს ვაშლები; აღმოჩნდა, რომ იმ კლდეში ყოფილა მოღვაწე დაყუდებული, რომელიც იზრდებოდა ყორანთაგან; სულიერის სიტკბოებით ეამბორნენ ერთმანეთს და დაიწყეს ბაასი ზეციურ ცხოვრებაზედ. შემდგომ ამ ალაგზედაც გამრავლდნენ მოღვაწეები, გამოკვეთეს ეკკლესია და სენაკები, ***წითელ უდაბნოდ*** წოდებული, რომელიც მდებარეობს სამხრეთისკენ შორის ბერთ-უბნის და დავითის უდაბნოსა ორს ვერსტზედ. დღესაც არის ძველი ჩამოქცეული ეკკლესია და სენაკები.

ზემო ნახსენები კირის ქვაზედ კიდევ არის ამოჭრილი ორი ლომი ჯაჭვით დაბმულნი, ეს მოგვაგონებს იმას, რომ ღვთისადმი მინდობილთა დათრგუნონ ლომი და ვეშაპი, როგორც დაიმორჩილა წმიდა დავითმა დიდი და საზარელი იგი ვეშაპი, რომელიც იყო ამ უდაბნოს დიდს ქვემო ხევში და რომელმაც შეუჭამა ირემს ნუკრი; ამიტომ წმიდა დავითმა გამოიყვანა ამ ხევიდამ ეს საშინელი გველი, რომლის მნახველი ლუკიანე შიშით თავ-ზარდაცემული დაეცა მიწაზედ; მაშინ დავითმა უბრძანა: მამაო ლუკიანე! რათ შეშინდი ერთის ჭიისაგან, რომელიც განგებულებითა ღვთისათა დაიწვა ცეცხლითა.

ზემო მოხსენებულნი მაგალითნი, როგორც გადამოცემით ვიცით, დაწერილ არიან ***ჯვარ-შემოსილის წიგნში***, რომელიც გაუტანია განსვენებულს პლატონ ეგ. იოსელიანს და დღეს ვისა აქვს არ ვიცით.

კაცი შევა თუ არა ***უდაბნოს*** გალავანში, წარმოუდგებიან უცხო სანახავნი: ხეები მწვანით შემოსილნი, ორი მაღალ-მაღალი მრგვალი კოშკები, მაღალ-მაღალი გალავნების კედლები (ერთი ამათგანი ახალი დიდი კედელი აშენდა 1883 წელში, ჩემს დროს, რომელიც ექვსის წლის წინათ ჩამოქცეულიყო).

გარშემო უდაბნოსა იმყოფებიან დიდი მთები სამის მხრით აღმართულნი. ქვემოთ ამისა, კედლებში ნახავს კაცი მხოლოდ კარსა და ფანჯრებს და სხვა არაფერს; მაგრამ შევა თუ არა კედლის კარში შეხვდება გონების გამაცვიფრებელს დიდს პალატს კლდეში გამოკვეთილს კამარედად; სიგრძით აქვს მას ცხრა საჟენი, განით სამი საჟენი და სიმაღლით სამი საჟენი და ერთი ალაბი. ორივე მხარეს აქვს გაზიდული ბაქნები, იმავე კლდისაგან გამოკვეთილი. წინ ექვს-ექვს ქვის სვეტებზე დაწყობილია ხონჩის მსგავსი გრძელი ხის სუფრები.

ამ ტრაპეზიდამ ადვილ გამოსაცნობია, თუ რამდენი ყოფილან უწინ ბერები ამ უდანოში. აქ შეკრებოდენ წინამძღვარი და ძმები პურს საჭმელად, ეგრეთვე მაშინ, როცა ექმნებოდათ რჩევა სამონასტრო საქმის განგების შესახებ. ამ საზოგადო ტრაპეზს აქვს თავზე საკუთარი საჯდომი, სადაც დაჯდებოდა წინამძღვარი იკონომოსით და რიგის მღვდელ-მონაზონითურთ, ხოლო სხვანი - ორთავე მხარეს თავიდამ ბოლომდის. ტრაპეზის დროს ერთი განწესებული ძმათაგანი აღვიდოდა საწიგნობრეზედ და კითხულობდა წმიდათა ცხოვრებას, ჩვეულებისამებრ მონასტრისა; ყველა ძმანი პურის ჭამისათანა სიჩუმით, ყურადღებით და უფლის ხმის ყოფით ისმენდნენ ამას (როგორც ეს დღეს არსებობს დასავლეთ საქართველოში - აფახაზეთში, ახალ-ათონის სვიმონ კანანიტის მონასტერში, სიმრავლისა გამო რუსის ბერებისა). შემდგომ ტრაპზიდამ აღდგომისა შესწირვიდნენ მადლობის ლოცვას, წავიდოდნენ მყუდროებით თავის-თვის სენაკებში ხელთ საქმარისათვის, ვისაც კი რა შეეძლო; ვერ ნახავდა ერთი მესენაკე მეორესა; ამ ნაირად იყვნენ მოუკლებელ ლოცვასა და მარხვაში, სწერდნენ საღმრთო წერილების თარგმანებს, ჰქონდათ სკოლა და ცდილობდნენ სწავლის გავრცელებას მით, საიდამაც გამოდიოდნენ მეცნიერნი სასულიერო მქადაგებელნი; მაგალითად, ანტონ I კათალიკოზი და დიდი ანტონ ჭყონდიდელი იყვნენ აქ აღზრდილნი.

წმ. დავითის ლავრის ძმობა

რომ აქაურნი უწინდელნი მოღვაწე ბერები იყვნენ დაუძინებელნი მშრომელნი, არ იყო მათში ჩვენი დროების სენი - შური და მტრობა, ამას გვიმტკიცებენ მათგან ნაშრომ-ნაღვაწნი ძველნი ხელთ-ნაწერები და სხვ.

ამ დიდს პალატს მარჯვნით შიგნით აქვს კარი შესავალი მარანისა, რომელიც გამოკვეთილია კლდეში; დღესაც არიან დამარხულნი დიდი და პატარა ქვევრები.

ამ პალატიდამ სამხრეთისკენ არის შესავალი კარი ***იოანე ღვთის-მეტყველის დიდის ეკლესიისა***, იმავე ბუნებითის კლდისაგან კამარედად გამოკვეთილი, რომელსაც განყოფს ამ პალატის ერთი გამოკვეთილი კედელი. ეკკლესიას აქვს შიგნით სიგრძე ცხრა საჟენი, განი ოთხ-ნახევარი საჟენი და სიმაღლე ოთხ-ნახევარი საჟენი.

კანკელი ამისი გამოჭრილია ძირიდამ თავამდე იმავე ბუნებითის კლდისაგან, რომელზედაც დახატულია ხატები მსგავსად მაზაიკისა ბერძნულის მხატვრობით, იმ დროიდან დღესაც ცხოვლად დაშთენილნი.

საკურთხეველი აქვს დიდი, მაღალ დასაჯდომელიდამ (ტრაპეზის უკან მღვდელმთავრის საჯდომელი): ორივე მხარეს სრულიად ეკკლესიის კედლებს აქვს ჩამოსაჯდომი კლდისაგან გამოკვეთილები. ტრაპეზი დღესაც შეურყეველია, სამკვეთლო და სხვა, კლდისგანვე გამოჭრილი, ყოველი მრთლად არის. საკურთხეველს აქვს აღმოსავლეთით მხოლოდ ერთი ფანჯარა, რომელიც ანათლებს სრულიად ეკკლესიასა.

ამ ეკკლესიის დასავლეთით არის მეორე გამოკვეთილება იმავე კლდისაგან, განით და სიმაღლით იმდენი, რამდენიც არის თვით ეს ეკკლესია; ხოლო სიგრძით ხუთი საჟენი. ჩამოქცეულია რამდენიმე დიდრონი ქვები და არა სჩანს, თუ რა ყოფილა ესა; მაგრამ უნდა ყოფილიყოს სალარო. ეს ეკკლესია, როგორც გუჯრებიდან სჩანს, ყოფილა აღშენებული თეიმურაზ პირველის მეფის შემწეობით. ამ ეკკლესიის სამხრეთის კარით არის ქანქანა (გზა ფარული), გაყვანილი ზემო და ქვემო ორის უბნის ნაწილების ყველა გამოკვეთილების და შენობების ქვეშ, სიგრძით ას სამოც საჟენზედ. ***ეს ქანქანა მიდის აღმოსავლეთისკენ წმინდის დავითის საფლავის ეკკლესიისადმი, ასე რომ ღვთის მეტყველის ეკკლესიიდამ ყოფილა საიდუმლო შემაერთებელი გზა; მაგრამ ალაგ-ალაგ ჩამოქცეულა და ამის გამო დახშულია.***

უდაბნოს მონასტერი

ცა ამ დიდის ეკკლესიისა სიძველისაგამო ჩამოქცეულა, რომლის ნაქცევითაც იატაკი დაფარულია ნახევრის ალაბიდამ ერთს ალაბამდე. მნახველი ამ შესანიშნავის ეკკლესიისა ვინ იქნება იმისთანა უგულო, რომ არ ისურვოს მისი განახლება, რომელიც შეადგენს საქართველოს ძველს მოღვაწეთა ქალაქს და არხიტექტურას?!

ამ ღვთის მეტყველის ეკკლესიის მაჯვენით არის მეორე პალატი იმავე კლდეში გამოკვეთილი, რომელსაც აქვს შიგნით რვა-ნახევარი საჟენი სიგრძე, განი სამ-ნახევარი საჟენი და სიმაღლე სამი საჟენი, რომელშიც, ძველის ჩვეულებისამებრ, დღესაც არსებობს საზოგადო ტრაპეზი; ამას აქვს ერთი შესავალი კარი და მის ზევით ერთი ფანჯარა, რომელიც საკმაოდ ანათლებს. შემსვლელი მასში მარცხენით ნახავს კარს სახაბაზოსას, კლდისაგან გამოკვეთილს, შიგნით აგურით ნაშენ ფურნეს და დიდს ხის ვარცლსა, რომელზედაც იხილება ექვსი ფუთიდამ ათ ფუთამდის პურის ფქვილი; აქ ზარის დარეკვისთანავე, ძველის ჩვეულებისამებრ, უნდა შეიკრიბნენ ხოლმე ყველა ძმები და მსახურნი, რომ ყველამ ამოქნას ცომისაგან გუნდები.

შიგნით ამ პალატში არის საკუჭნაო, კლდისაგან გამოკვეთილი, ტრაპეზის სახმართათვის. ესენი არიან ზემო უბანზედ, სადაც საშუალ ალაგზე დარგულია ორი დიდი თუთის ხეები საჩრდილობელი და მათ შორის ქვითკირის ნაშენი დასასხდომი.

მარჯვენით ამისა ციცაბო კლდეში არის გამოკვეთილი ძირიდამ თავამდე, დაყოფილი სართულებად, თერთმეტ სენაკამდის: რომელიმე ამათგანი ჩუქურთმით, ვაზებით და ტევნებით შვენიერად გამოქნილნი კლდისაგან და რომელნიმე დახატულნი წმინდად; ხუთს ამათგანში დღესაც სცხოვრობენ ძმანი. ამ ზემო უბნის ჩასავალ კარზედ მარცხენით ნახავს კარს სამზარეულოსას,

საკმაოდ კლდისგან გამოკვეთილს.

მონასტრის ზედა ეზო

ზემო ნაწილის უბანი - ორის კოშკებიდამ გავლებულია მაღალი კედლები ქვით-კირისა, სადაც არის გაშენებული ქვითკირის ერთი ორ-სართულიანი სახლი, რომელიც შეადგენს გალავანს, აქვს ორი კარი, ერთი ამათგანი რკინისა. ამ ზედუდიდამ წარსული აღმოსავლეთისკენ გავა მცირე გალავანს და ჩავა მეორე ნაწილში, სადაც სდგას ერთი ტოტებ გაშლილი დიდი ხართუთა, საჩეხიანს ვაკეზედ, და ორი კაკალი ხევის პირებში. ამ მეორის მოედნის ჩასავალ კიბის მარჯვნით შეგხვდებათ კარი, კლდეში გამოკვეთილი, ექვს საჟენზედ ფარულად ჩასავალი; მერმედ შესდგება მესამე ნაწილი, რომლის აივან გრეხილით და კიბით ჩავა მეოთხე ნაწილის გალავანში, სადაც არიან დასაფლავებულნი სხეულნი ძმებთა და თავადთ ანდრონიკაანთ და ვაჩნაძეებთა.

აქ მარცხნით არის ***ეკკლესია ფერის-ცვალებისა,*** გამოკვეთილი კლდისაგან; შიგნით სიგრძე აქვს ექვსი საჟენი, და ორ-ნახევარი ალაბი, განი ოთხი საჟენი და ხუთი ჩარექი, და სიმაღლე ორ-ნახევარი საჟენი. ფანჯრები აქვს სამი კამარებში: ერთი საკურთხეველში, მეორე საშუალ ეკკლესიისა, კანკელის სანათობელად, და მესამე ეკკლესიის შესავალ კარზედ; კარი რკინისა აქვს.

მარჯვენით კედლის კამარის ჩასწვრივ არის საფლავი ამ მონასტრის დამაფუძნებელის, წმინდა დავით გარესჯელისა, გაჯით გალესილი; ზედ სდგას ახალი კაკლის კუბო ვარაყიანი და ზედ აგმოხატულება წმინდა დავითისა, ოქრომკედის ნაქსოვი ფარჩით დაფარებული.

კანკელი არის ტოლზედ ნახატი, ეკკლესია საკმაოდ გაწყობილი, რომელშიაც სრულდება წირვა-ლოცვა. საკურთხევლის მაღალი დასაჯდომელიდამ ორივე მხარეს აქვს ეკკლესიას ჩამოსაჯდომები, გამოკვეთილნი იმავე კლდისაგან. სამკვეთლო საკუთარს განყოფილებაშია კლდეში გამოჭრილი.

წმ. მამა დავით გარეჯელის სენაკი

ამ ეკკლესიაში ასვენია ერთს მცირე ვეცხლის ყუთში ის მადლის ქვა, რომელიც



მოიტანა წმინდა დავითმა ქრისტეს საფლავიდამ. შემდგომ მის გარდაცვალებისა ბევრმა წელმა გაიარა, რომ არავინ იცოდა, თუ სად იყო იგი შენახული. 1816 წელს, სიძველის გამო, ეს ეკკლესია განაახლა ამ უდაბნოს წინამძღვარმა არხიმანდრიტმა ილარიონ (ვაჩნაძემ) მეორემ; დაიწყო საფუძვლიდამ შენობა მისი; მოითხოვა საჭიროებამ გაესწორებინა კანკელის ოთხ კუთხიანი სვეტი, რომელიც იყო ფეხებისკენ წმიდა დავითის საფლავისა. ეს სვეტი ნახევარი რომ ჩამოაქციეს, ***გამოჩნდა კედელი, გაჯით გალესილი, და შიგ დახატული დირსი მამები დავით და დოდო, იმ დროისა, როდესაც დავითი მოვიდა იერუსალიმიდამ და შეეყარა დოდოს მხიარულის სახით ერთმანეთის ხელებზედ ამბორის მყოფელნი; ზედ ეწერა: „ხატი წმ. დავითისა, იერუსალიმიდამ მოსულისა“. მოითხოვა საჭიროებამ ამ კედლის ერთბაშად ხატითურთ გასწორება; როდესაც ჩამოქცეულ იქმნა, გამოჩნდა სხვა კედელი გაჯით გალესილი და თახჩაში მცირე სორო, რომელშიაც იდვა ეს მადლის ქვა;*** - ეს ეკლესია პირველში ყოფილა ღრმა ამოკვეთილი ჭა ანუ ქვაბი, რომელშიაც ცხოვრობდა ღირსი მამა დავით, სადაც აღსრულდა და დასაფლავდა. შემდგომ მოღვაწეთა ამა უდაბნოსათა გამოკვეთეს კლდე, გაავრცელეს, აღაშენეს კედელი და გააკეთეს ეკკლესიად.

მადლის ქვა არის ბატის კვერცხზედ ცოტა ნაკლები, - მოგრძე, - თავზედ აქვს ხალი ძველი სისხლის ფერი, ცალ გვერდზედ მისივე ფერით წვრილად ჩაწრეებული თავიდამ ბოლომდის, ფერით არის საშუალ თეთრის და წითლისა, რომელიც ჰკურნავს სარწმუნოებით შემხებელსა მისსა. ამ ქვისადმი და დავითის საფლავისადმი დიდი სასოება და პატივის

<u>*გაგრძელება მე-3 გვერდზე*</u>

დრო – გაქცეული, მაგრამ ჩარჩენილი უდაბნოს მონასტრებში

XIX საუკუნიდან დანახული გარეჯი

<u>**გაგრძელება**</u>

ცემა აქვსთ ქართველთა, რუსთა და სომეხთა; ეს ქვა გამოისვენება ხოლმე მხოლოდ წმინდა დავითის ტაძრის დღესასწაულზედ, რომელსაც აღვასრულებთ ყოველთვის ამაღლების სწორზედ დღესა ხუთშაბათსა. დავითზედ ამბობს ნიკოლოზ ტფილელი:

„განშორებულა, სიკეთე მამა დავით,
ირემთა ზრდილობს,
ნიშებს საკვირველებთა,
ბუბაქარს ქრისტნავს,
ვეშაპს ცეცხლითა დასწვავს,
შრომათა ხვავსა, თან წარყვების ზეცად,
გარეჯას მღვიმობს,
სულსა აღა-ღვთის ხელებს“.

წმინდა დავითის საფლავის ეკკლესიის პირდაპირ არის სამი სენაკი ქვითკირის ნაშენი. მეორე ზემო სართული შესდგება შენებულთ აივანთ, სენაკების, კიბეების და გამოკვეთილ თახჩებისაგან. მესამე, ზედა სართული შესდგება ახალ გვარი შენობისაგან, ორ სართულიანი სახლი საჩეხიანი და ერთი სენაკი.

წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სამრეკლო და მონასტრის კოშკი

ამის ზემოდ არის მეოთხე სართული და ერთი სენაკი, პატარა საკუჭნაოთი, რომელსაც აქვს მცირე აივანი და ზედ დარგულია ერთი ძირი ვაზი და მსხმოიარე ატმის ხე.

სისწორივ ამისა მარჯვენა გვერდით არის ***მცირე ეკკლესია წმინდის ნიკოლოზისა***, ქვითკირით ნაშენი; ამას აქვს სამი ფანჯარა: ერთი საკურთხეველში და ორი ეკკლესიის მარჯვნით, და ერთი შესავალი კარი. შესავალი კარის ზემოთ ოთხი, აგურით ნაშენი სვეტებია და მათ ზემოთ სამრეკლო ექვსის ზარით. ეკკლესია არის სიგრძით ოთხი საჟენი, განით და სიმაღლით ორ-ორი საჟენი. კანკელი და აღსავლის კარები აქვს ახალი კამარედად კაკლისა, ხატები მშვენიერის ხელოვნებისა ვარაყით და მინანქრით გამოხატული, პეტერბურღიდამ მ.საბინინისგან შეწირული 1880 წელსა. ეს ეკკლესია იმყოფება პირველ შესავლის გალავნის პირველ ნახსენების კარისა-თანა.

ამის ზემოთ არის ახალ-ნაშენი სახლი, სამ-თვალიანი, რომლის ზედა სართული სდგას ამავე შესავალ კარის ბჭის თავზედ. ამ სახლის აივნიდამ მარჯვნით ზევით ამხედველი ნახავს კლდეში ყურადღების მისაქცევ გამოკვეთილებას, ქვა-კირით თაღ-შეკრულს, მაღლა გაზიდულს პირველ ნახსენების საყარაულო კოშკის ძირამდის, რომელსაც აქვს ას-ოორმეტი ნაბიჯი, ფეხის მოსამაგრებელი აღმოკვეთილება კიბედ იმავე კლდისაგან, - ეს არის საიდუმლო გზა, ასავალი იმ საყარაულო კოშკზედ. ასრე, რომ მტერი ვერ დაინახავდა ამსვლელს და ვერც ვერაფერს ავნებდა. ამ კოშკში დღესაც არის დიდრონი გათლილი ქვები, მრგვალი როგორც ბურთი; როცა მტერი მიუხდებოდათ, სხვათა-შორის ამ ქვებსაც დააგორებდნენ ხოლმე ყარაულები კოშკიდამ, რომლებსაც ვერაფერი ვერ შეამაგრებდა მტრის მოსაგერიებლად.

მონასტრის კოშკები

როდესაც სამხრეთ-დასავლეთისკენ მიიხედავს კაცი, პირველად გარდაავლებს თვალს ორს მაღალ-მაღალ მრგვალ ქვითკირის კოშკებს და სამს მაღალ ქვითკირისვე კედლებს, და შეაჩერებს თვალს მოფერდო დიდ მაღალ შიშველ კლდესა, განით მდებარეს, რომელიც სიმაღლით ოთხას საჟენამდის არის და სიგრძით მარტო ის ნაწილი, რომელიც პირ-და-პირ დასცქერის ამ უდაბნოს, არის თითქმის ამდენივე; მაგრამ სრულიად ამ მთის სიგრძე იქნება არა უმცირეს ორის ვერსტისა, რომელიც დაჰყურებს დასავლეთ ყარაიის მინდვრებს, ტყეს და მდინარე მტკვარს, სამხრეთისკენ პატარა არარატს და სხვა სომხეთის მთებსა. ამ მთას გადმოღმით (უდაბნოსკენ) აქვს მრავალი სხვა-და-სხვა ამოკვეთილი ღარები და ძირს თორმეტი ჭები, ამოკვეთილნი, ძირ-ფართო და პირვიწროები, სიმაღლით სამ-ნახევარ საჟენიდამ ხუთ საჟენამდინ, რომელნიც აივსებიან ხოლმე წვიმიანობის დროს და ინახავენ გრილ წყალს, რომელსაც ხმარობენ ძმანი სასმელად და საჭმლისათვის.

ამ მთის კალთაში არის გამოკვეთილი სიმაღლით საჟენი და განით სამი საჟენი; ამაში ძირიდამ და ზემო კედლებიდამ სწვეთს, როგორც ცვარი, და შესდგება საათში ერთი ბოთლი წყალი, მშვენიერის ფერის და გემოსი, რომელსაც უწოდებენ ***„ცრემლის წყალსა“***; ხოლო მლოცველი ხალხი კი ეძახის: ***„მადლის წყალს“***, რომელიც მიაქვთ ხოლმე სახლში, როგორც ნაკურთხი წყალი.

წმ. მარინეს ეკლესია

მარცხნით, ე.ი. სამხრეთით, მესამე ციცაბ კლდეში არის გამოკვეთილი ექვსი სენაკი, სხვა-და-სხვა თახჩებში და ორი ეკკლესია; ამ ეკკლესიებში ერთი არის ღვთის-მშობლის მიძინებისა, კამარედად გამოჭრილი, რომელიც არის სიგრძით ოთხი საჟენი, განით ორი საჟენი და ორი ალაბი და სიმაღლით ორი საჟენი და ერთი ჩარექი. კანკელი ამისი არის გაჯით აშენებული და ჩუქურთმით გამოქნილი; ხატები არიან ტილოსი მშვენიერად თვითოეული ცალ-ცალკე მის ზომის ქვაზედ დაკრულნი; ამბიონი და იატაკი აქვს შესაფერი, გამოკვეთილი. საკურთხევლიდამ ორივე მხარეს აქვს ეკკლესიას ჩამოსაჯდომი კლდისაგან გამოკვეთილი; გახვრეტილია კლდე და ეს შეადგენს საკურთხევლის ფანჯარას, რომლისაგანაც ნათლდება. ეკკლესია კი ერთი დასავლეთის კარის და მის ზევით ერთი ფანჯრისგან იღებს სინათლეს; ეკკლესია საკმაოდ შემკობილია, დღესაც სრულდება მასში წირვა-ლოცვა.

ამის ზემოთ არის მეხუთე ეკკლესია, მცირე, ***წმინდის ქალწულის მოწამის მარინასი***, კლდისაგან გამოკვეთილი; სიგრძე აქვს ორი საჟენი, განი და სიმაღლე თითო საჟენი; მასში არის ძველი მშვენიერი მხატვრობა, მაგრამ არ სრულდება საღმრთო მსახურება. აქ არის მხოლოდ ორი სენაკი და სხვანი სიძველისაგამო ჩამოქცეულან.

აქვე არის ის დიდი სამჭედლო, კლდეში გამოკვეთილი, სადაც დღესაც არის ჩასმული გრდემლი, საბერველი და სხვა, რომელიც გვიმტკიცებს, რომ ჩვენი უწინდელი ბერები იყვნენ მჭედლებიც, რკინი, სპილენძის და ოქროსი.

აქ სჩანან სხვა-და-სხვა ალაგებში თეთრი მოდიდო ლოკოკინები, შენივთებულნი ქვებზედ; აქ არის კლდეში გაქვავებული ცხოველის ძვალიც.

წმ. ილარიონ ქართველის ეკლესია

ამ მთის ზემო კერძო სამოც საჟენზედ დაშორებით, მეორე გვერდით გამოკვეთილია სენაკი (ქვაბი), რომელშიაც მოღვაწეობდა დიდი ილარიონ ქართველი (კახეთის თავადი ვაჩნაძე). ეს იყო მღვდელ-მონაზონი, თავი კი მოძღვარი იყო ამ სავანისა - მეცხრე საუკუნის დასაწყისში, რომელიც თავის წმინდა ცხოვრებისაგამო აიძულა მეფემ და ხალხმა, რომ მიეღო საეპისკოპოსო კათედრა; მაგრამ არ ინება, რადგან უყვარდა დაყუდებით ცხოვრება; ამის გამო გამოარჩია ერთი ძმათაგანი, რომელიც გონებით მაღლა იდგა სხვებზე, და მიანდო მას გამგეობა ამ სავანისა ამ ნაირის დარიგებით: „აჰა ესე რა მწყემსად და მოძღვრად ძმათა ამათ განგაინებ შენ წამის ყოფითა ღვთისათა“; სხვათა შორის, ეს მოძღვრებაც დაუტოვა: ***„ნუ ოდეს დაუხშავ (დაუკეტავ) კარსა მონასტრისასა უცხოთა და უღონოთა, არამედ სართულიცა ესე ზოგად იყავნ თქვენდა და უცხოთა თანასწორად. თქვენდა და გლახაკთა იყავ ყოველივე ზიარი, ესრედ თუ იქ მოდით მრავალ-წილად მოისთვლოთ ზეგარდამო სარეწავი (სარგებლობა) თქვენი“.*** შემდგომ ამ გვარის დარიგებისა ნეტარი და საკვირველთმოქმედი ილარიონი გაექცა კაცობრივ დიდებას და წავიდა პალესტინეს, - თესალონიკეში; მიიცვალა 882 წელსა. საქართველოს ეკკლესია დღესასწაულობს ხსენებასა მისსა 19 ნოემბერს ამ სახით:

„ნაპრალით კლდისად, გარეჯისად, მამაო,
ამაღლდი ზენა, სიმაღლედ ილარიონ.
ველით უდაბნოთ, იორდანისად, დიდო,
ანგელოზთასა, საზღვარსა მისწვეთ,
კნინდა,
აქ დახედ მზეო, იმსრბოლე ცად მესამედ“.

ყველა ზემო ნახსენები კლდეებიდამ გამოკვეთილები: ეკკლესიები, სენაკები, პალატები წმინდათ გალესილ არიან გაჯით, გარდა იატაკისა. ***ამ სავანეში დღეს არის ხუთი ეკკლესია.*** სამში დღესაც სრულდება საღმრთო მსახურება.

მარტო ზემო აღრიცხული სამის მხრით აღმართულ კლდეებში არიან ***ოთხმოცდა თხუთმეტი სენაკები,*** რომელნიც დღესაც იხილვებიან, გარდა ეკკლესიებისა, პალატებისა და სხვა-და-სხვა თახჩებისა.

ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია

ქვითკირით შენობა შესდგება თორმეტის სხვა-და-სხვა ხუთ-ხუთ საჟენიანი კედლებისაგან. ყველა გონიერი მნახველი ამ სავანისა მის არხიტექტურულ მუშაობაზე გაოცდება: აი როგორ მოიხსენიებს უ.არქიტექტორი ლიპირიტი თავის შენიშვნაში ამ უდაბნოს: „განიხილვების რა დრო, მოთმინება, წინად დანახვა, რომელთაც მოითხოვდნენ ესოდენნი დიდნი მუშაკობანი, გავრცელებისთვის ამა სასულიერო დაწესებისა, ადგილთა შინა მოკლდებულთა ყოველთა საჭიროებათა ღონის-ძიებათა შენობისათვის: ე.ი. ხისა და წყლისა; მტკიცედ გაბედვისათანა დასაპყრობელად ამა ადგილისა დაშთებოდა ერთი ღონის-ძიება: გამოკვეთა კლდეთა შინა თავთა თვისთა სადგურისა, რომლის დამამტკიცებელნი არიან სადგურნი ღრმად სიძველის წარმომადგენელნი; კლდეზედან იხილვებიან ჯერეთცა ნაცემნი წერაქვთანი, რომელნიც გამოკვეთილ არიან წერაქვებითა და იარაღებითა და არა თოფის წამლითა; გამოჭრილ არს მათ შინა კლდე: ეკკლესიათა, სენაკთა, კართა, სარკმელთა, და თახჩებთაგან ოთხ ას ოცდა ჩვიდმეტი კუბიკური საჟენი. ამა კლდეთა შინა კეთილ-ხელოვანი ქვის მჭრელი შეიძლებდა წერაქვით გამოჭრასა დღესა შინა ნახევრის ადლის ოდენ კუბიკურის საჟენისა, და ამასაც არ აყოველგან; აღრიცხვითა ამით საჭირო იყო ოცდა ორი ათას ას ორმოცი დღე საწარმოებლად ესე ვითარისა მუშაობისა; სჩანს, რომ უმეტესი ნაწილი წარმოებულ არს თვით მონაზონთაგან“.

წმ. დავით გარეჯელის ლავრა



ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან

ასე და ამ გვარად, ყველა ხსენებულ გამოკვეთილებას მოუნდებოდა სამოც-და-ექვსის წლის მოუწყვეტელი მუშაობა.

ამ უდაბნოში მოღვაწე ბერებისაგან სხვათა-შორის ჩვენ დაგვრჩენია მშვენიერი ძველი ხელთ-ნაწერები, ხუცური და მხედრული, ქართული სამეცნიერო წიგნები, და სახელდობრ: 1. დოღმატიკა, 2. ხრონოღრაფი, 3. გრდემლი, 4. კავშირი, 5. დიალექტიკა, 6. საზღვარი დავითისი, 7. წიგნი დამარღვეული ლათინთ სარწმუნოებისა, 8. წინწილი ღაღადებისა, 9. ოთხი თავი სახარების განმარტება ეტრატზედ, 10. კატეგორია, 11. იოანე სინელი, 12. დამასკელი გრიგორისა, 13. დიონისის წინა ბჭე, 14. ეფრემ ლაფსაიკონი, 15. ლაფსაიკონი მეორე, 15. ნეტართა მამათა ცხოვრება, 17. ქართველთა წმინდათა ცხოვრება, 18. სვინაქსარი ეტრატზედ, 19. ცხოვრება გრიგორი ღვთის-მეტყველისა, 20. გამოცხადება იოანე ღვთისმეტყველისა, 21. დავითნის განმარტება ეტრატზედ, 22. ლაფსიკონი ოქროპირისა, 23. წინამძღვარი იოანე დამასკელისა, 24. ჟამ გულიანი ეტრატზედ, 25. სწავლა მონაზონთათვის ეტრატზედ, 26. ქართული ლექსიკონი, 27. ქართული ღრამატიკა და სხვ., რომელნიც შენახულ არიან ამა უდაბნოს ბიბლიოთეკაში. ნუ თუ ცოდვა არ არის ამ გვარი სამეცნიერო წიგნები რჩებოდეს დაუბეჭდავად და სხვა ამ გვარი ნაშრომ-ნაღვაწი წინაპართა გაუცნობელად

შემდგომთა მათთა შთამომავალთათვის?!

ზედა ეზო. გიორგი XII-ის სენაკი

ბარდა წმინდა დავითის სხეულისა აქ განისვენებენ ცნობილნი კეთილის მოქმედებითა და წმინდა ცხოვრებითა თვისითა: ღირსი მამა დოდო (კახეთის თავადთაგანი, ადნრონიკანი), მოწაფე დავით გარესჯელისა, რომელმაც დააფუძნა დოდოს მონასტერი, რომელიც პირდაპირ უყურებს ჩრდილოეთიდამ ამ უდაბნოს, ერთ ვესტზედ, ერთს დიდ მთაზედ, სადაც დღესაც არის ეკკლესიები, სხვა-და-სხვა სენაკები და ჭები, კლდისაგან გამოკვეთილნი, ვიდრე ორასამდის; ***წმინდა დოდო აღესრულა ექვსას-ოც-და-სამ წელში, რომელსაც ქართველთა ეკკლესია დღესასწაულობს მეშვიდესა ზადიკის ოთხშაბათსა, ე.ი. ამაღლების შემდეგ, სწორეთ წინა დღეს დავით გარესჯელის დღესასწაულისა***; მამა ლუკიანე, მოწაფე წმინდა დავითისა; ღირსი მამა არსენი, წამებული შაჰ-აბაზისაგან ათას-ექვსას-სამ წელში; გრიგორი ხუცეს-მონაზონი, გარდაცვლილი ათას-ექვსას-ოცდა-რვა წელში, რომელმაც აღწერა წამება ქეთევან დედოფლისა.

აქ დასაფლავებულნი არიან სხეულნი საქართველოს მეფეთა: 1) ალექსანდრე პირველისა ათას-ოთხას-ორმოც-და-ორ წელში, 2) ბაგრატიონისა, რომელმაც დასტოვა სამეფო ტახტი და შეიმოსა მონაზონებითი ცხოვრება, 3) დიმიტრი, რომელიც შეუდგა მამის მაგალითს, დაუტევა ქვეყნიური მეფობა და შევიდა ბერად, იწოდებოდა დამიანედ, მრავალს მოღვაწეობაში აღსრულდა ათას-ხუთას-ორმოც-და-თოთხმეტ წელში, და 4) მეუღლე საქართველოს მეფის გიორგისა ეკატერინე (ქართულად) ქეთევანი, ათას შვიდას ოთხმოცდა ორ წელში.

აქვე მარხიან მღვდელთ-მთავარნი: 1) იოსებ მიტროპოლიტი ნინო წმინდისა, ათას შვიდას თერთმეტ წელს, 2) ნიკოლოზ ნინოწმინდელი, 3) იოანე ბოდბის მიტროპოლიტი, 4) დომენტი რუსთავის მიტროპოლიტი, 5) დავით ბოდბის მიტროპოლიტი და 6) მთავარ ეპისკოპოსი ქართლისა, რომანოზ მონაზონი, ათას შვიდას წელს და სხვა.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდის, დავით გარესჯელის უდაბნო იყო ყოვლისფრით მდიდარი და უნაკლულო, როგორც სჩანს გუჯარებისაგან; ლეონ მეფესა და შემდეგთა ჰქონდათ მიცემული ყმა და მამული, წისქვილები, ეგრეთვე ხორაგნი, რამდენიც კი საჭირო იყო იმ დროს დიდ-ძალის ბერებისათვის, ე.ი. პური, ღვინო, თევზი, ყველი, ერბო, ბრინჯი, ხიზილალა, ნიგოზი, ხახვი, მარილი, მატყლი და ტანის სამოსი, რომელიც შესდგებოდა მარტო შალის ჩოხებისაგან და ცხვრის ტყავებისაგან; ხოლო ეკკლესიისთვის სანთელი და საკმელი საკმაო.

უწინდელი დიდი მამულები გარდავიდა ხაზინში 1818 წელში; დღეს აქვს ამ უდაბნოს საკუთარს მფლობელობაში საძოვარი მინდვრები ირგვლივ მახლობლად მონასტრისა, ზვარი და წისქვილი ს. საგარეჯოში.

ძმანი სცხოვებენ საზოგადო ტრაპეზით და ჯამაგირით. აწ არიან შტატით: ერთი წინამძღვარი არხიმანდრიტი გრიგორი (დადიანი), წევრი საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორისა, სამი მღვდელ-მონაზონი, ორი იერო-დიაკონი, ოთხი მორჩილი, ექვსი შაგირდი, ერთი ჩაფარი და სამი მოსამსახურე; ესენი მუდამ მონასტრის ხარჯზედ ინახებიან.

ამავე მდგომარეობასა და განსაზღვრებასა შინა იმყოფებიან მკვიდრნი იოანე ნათლის-მცემლის უდაბნოისა, რომელიც მდებარეობს დასავლეთისკენ რვა ვერსტზედ; ესეც ამ გვარს გამოკვეთილ კლდეებში არის და უფრო ფიცხელს და უპოვარს ალაგზედ.

<u>დასასრული მე-4 გვერდზე</u>

დრო – გაქცეული, მაგრამ ჩარჩენილი უდაბნოს მონასტრებში

XIX საუკუნიდან დანახული გარეჯი

<u>დასასრული</u>

წმინდა დავით გარესჯელის უდაბნო აკლებულია ოთხ-ჯერ სპარსთა და ლეკთაგან: ა) მეთექვსმეტე საუკუნეში, ბ) 1772 წელში, გ) 1851 წელში და დ) 1857 წელში; ამიტომ დღეს არავითარი ძველი ნივთები არ მოიპოვებიან, მხოლოდ არის ძველი ჯაზაირი და თოფები, რომელნიც ჰქონიათ მიცემული მეფეთა და ხალხთაგან მოსაგრიებლად მტერთა. ოთხი ამ თოფებთაგანი საუკეთესო გატანილ არიან სამოქალაქო მმართებლობისაგან 1879 წ. მუზეუმში, ნაცვლად მათისა მოსცეს სამი ახალი სისტების თოფები (ბერდენკები) და ერთი პიბოდი. უწინ ყავდა ამ მონასტერს ოც-და-ათი კაცი ყარაული, შემდეგომ თუთხმეტი კაცი, მერმედ რვა, ამის შემდეგ ოთხი, უკანასკნელ წარსულ წლებში ორი, და ეხლა კი დადგა ერთ ჩაფარზედ...

საშეშე სრულიად არ იპოვება; მხოლოდ ბუნებას მოუცია გასახურებლად ფურნისა გრაკლის ფიჩხი. ძმანი სცხოვრებენ უბუხრო გამოკვეთილ სენაკებში, რომელნიც ზამთრით თბილნი არიან და ზაფხულით კი გრილნი.

ფრესკები

თუმცა ეს ადგილი უწყლოა და ცხელი, მაგრამ უწინ მშრომელ ბერებთაგან დარგულია ხევებში ხეხილნი: ნუში, ატამი, ჭერამი, კაკალი, თუთა, ხართუთა და სხვ., განგებ მათთვის გაკეთებულს მოფერდო ალაგზე, ქვა და მიწით შემაგრებულს ხევებში, ძირიდამ აყოლებული ვიდრე უდაბნოს მთის თავამდის, ერთი მეორეზედ მოშორებით, თითქო გალავნით ნაკვეთ-ნაკვეთ მიწებად დაყოფილი, როგორც ბაღი; ამ გვარად დარგული ხეხილი და მწვანე თივა ახარებენ მნახველის გულსა.

ამ ნაირად არიან სხვა და სხვა ამ უდაბნოს კალთებშიაც დარგული ნაყოფიერი ხეები, რომელთაც ასაზრდოებს მიწა და ნაწვიმარი წყალი, ჩამომდინარე ხსენებულის მთებიდამ.

ამ უდაბნოს მთები არიან ფერით მოყვითალო, ქვიშიანი; ქვემოთ მდებარე მთები კი ფერათ არიან თეთრი, წითელი, ლურჯი, შავი და ყვითელი, როგორც საღებავი, და ზოლიანი; არიან ეგრეთვე გოგირდის სუნის მლაშე ადგილები, ქვის ნახშირი, უნდა იყოს ნავთიც. არ შეიძლება არ იყოს რაისამე მადანი ამ მხარეში, თუ კი იმას ეყოლება მცოდნე მძებნელი. ***ამ მთებს უელის ბაქოს რკინის გზა თუთხმეტ ვესტზედ ყარაიის მინდვრებით.***

უდაბნოს გარეშე აღმომცენარეობს მშვენიერი წმინდა თივა, როგორც აფხაზეთ-სამეგრელოში კოინდარი; ბლომად ამოდის სატაცური, ქარქვეტა, დანდური, კაპარი და სოკო. ოთხფეხისაგან იმყოფებიან აქ ზამთრით ცხვრის ფარები, მუდამ კი ჯეირანები, კურდღელი, აფთარი, დათვი, მგელი და მელა. მფრინველთაგან - მგალობელნი: შროშანი, შაშვი, მერცხალი, ტარბი, კაკაბი, გნოლი, მწყერი, გარიელა, და დაბერებული ორბები; ზაფხულობით ერთობ ბევრი იცის ქვემძრომები. ზამთარში ეწვევიან ხოლმე უდაბნოს გარეული ინდოური, წერო და ბატები.

ესენი იმიტომ მოვიხსენე, რომ შეუძლიან მკითხველმა გაიცნოს თვისება აქაურის ჰაერისა.

წმინდა დავით გარესჯელის უდაბნოს მთა, რომელიც ზევით ვახსენეთ, დაჰყურებს ყარაიის მინდვრებს. გადაღმა გვერდით ციცაბ კლდეში არიან გამოკვეთილნი ეკლესიები და სენაკები, დღესაც მხატვრობით დაშთომილნი, იმ ათას ორას მამებთა, რომელნიც დაიხოცნენ უღმრთო სპარსის მეფის შაჰაბაზის მახვილით, ქრისტეს აღდგომის დღეს, თვით აღდგომის ეკლესიაში, რომელიც დღესაც არის ამ მთის თავზედ ეკლესიაში, რომელიც დღესაც არის ამ მთის თავზედ დაქცეული; როდესაც ეს ღირსნი მამები აღასრულებდნენ ღამით აღდგომის ციასკარს და გარს უვლიდნენ ეკლესიას სანთლებით, მაშინ შაჰაბაზმა დაინახა შორიდამ და წამოვიდა ჯარით მათკენ; როდესაც ესენი საღმრთო ლიტურგიას აღასრულებდნენ და მიიღეს კიდეც წმინდა საიდუმლო, სწორეთ იმ დროს დაესხა უსჯულო იგი და აწამა 1603 წელში მოწამეობის გვირგვინითა. დღეს ცხადად ღადადებს უკან ორას-ოთხმოცი წლის დათხეული სისხლი; მაგ„ ერთს ამ მთის კლდეში გამოკვეთილ ეკლესიაში ტრაპეზის აქეთ-იქით მხარეზედ აჩნია დადვრილი სისხლი, ასრე რომ შეიძლება იმის აღება. აქ არის ტრაპეზის პირ-და-პირ გამოხატულება: მაცხოვრისა, ღვთის-მშობლისა და ნათლის-მცემლისა, სრულის ტანით მოუშლელი, რომელთათვის თათრებს მოუთხრიათ თვალები ხანჯლის წვერით.

ამ წამებულთ ძვლები საქართველოს მეფემ თეიმურაზ პირველმა შეაკრებინა ერთად, რომ იქმნეს საგრძნობელად ჩვენის ხალხისა; ამიტომ ამ მთის თავზედ აღაშენა ერთი მცირე ეკლესია, სადაც საკურთხეველში ერთს საწნახელში ჩაწყობილ არიან ამათი ძვლები, რომელთაც აჩნიათ დანაკრავი მახვილისა თავზედ და მკლავზედ.

ხსენებასა ამათსა დღესასწაულობს ქართველი ეკლესია სამშაბათს ბრწყინვალის კვირიაკისას, რომელსაც დღესაც ვდღესასწაულობთ სამღვთო ლიტურგიით თვით ამ წამებულს ეკლესიაში.

ეკლესია ქართველთ წამებულთა ამათ იხსენიებს ამ სახით:

„ვნებათა მიერ, წმინდათა იმარტვილნეს,
მმარხველთა ღირსთა,
მხნედ ძლევის მოყვარებით,
ნივთნი ბებკულნი, აპორფირ-ძოწეულნეს,
სისხლით ღებვითა,
ალარ-უსასყიდლო ჰყვნეს“.

ამ წამებულთ მთიდამ სამხრეთისკენ მეოთხე ვერსტზედ არის ***ბერთ-უბნის ეკლესია,*** მოყვითანო ფერისა, ქვიშიანი, დიდს მთაზედ, - ციცაბ კლდეებში არიან გამოკვეთილნი: ეკლესიები, სენაკები და შესანიშნავი დიდი პალატები, დიდრონი ჭები და ქვევრები. ერთს ამათგანს დიდს ღვთის-მშობლის ეკლესიაში უფრო ცოცხლად დაშთენილია ძველი მხატვრობა, სადაც მარცხნით კედელზედ არის დახატული სრულის ტანით ჩვენი დიდებული თამარ მეფე, იმ სახით, როგორც არის მისი სურათი გამოფენილი, გვერდით მისსა შვილი მისი ლაშა გიორგი, ფშაურის ტანის-სამოსით. ამ ბერთ-უბნის და წამებულთ მთები და მშვენიერი ეკლესიები თვისის სენაკებით ისრე მაღლა დაყურებენ შორ-ახლო მდებარე ადგილებს, თითქო შეუპოვარი მცველი, როგორც მაღლიდამ უხილავი მცველი თვალი ზეციურის დედოფლისა.

არიან სხვებიც მრავალნი გამოკვეთილნი სხვა და სხვა ამ მხრის მთებში: ეკლესიები და სენაკები, რომელნიც მოგვითხრობენ, რომ წინაპართა ჩვენთა ჭეშმარიტად ისმინეს სიტყვა ღვთისა და მტკიცედ დაიმარხეს იგი, სადაც მეჩვიდმეტე საუკუნეს წინეთ ამ მრავალ მთის უდაბნოში იყვნენ უმეტეს თორმეტი ათასის კაცისა, აღვსებულთა კეთილითა და პატიოსანის ცხოვრების მოღვაწეობით, რომელთა სახელები დაწერილ-არიან კალმითა ზენათა.

დღეს მხოლოდ არსებობს ეს პირველად დაარსებული წმიდა დავითის უდაბნო, როგორც უწინარეს ყოველთა დაარსებული, და მეორე ნათლის მცემლის უდაბნოა; ხოლო სხვანი ყოველნი, სამწუხაროდ, იხილვებიან უქმად და ბუდედ ორბთა, ღრმად წარმომადგენელნი სიძველეთა მათთა.

როგორც სჩანს, ამ უდაბნოს მთების სიყვითლისაგან და ქვიშიანობისაგან, ეს მთები უნდა იყვნენ წარმომდგარნი საქვეყნო წარღვნისაგან, მით უმეტეს როდესაც კლდეებში ვპოულობთ გაქვავებულ სხვა და სხვა ქვემძრომლებსა და ცხოველების ძვლებსა...

ქართული მიწების გადაცემა აზერბაიჯანისთვის 1921–1924 წლებში

მომზადებულია ლადო მირიანაშვილის შრომების მიხედვით

საქართველო-აზერბაიჯანის სასაზღვრო ზოლში რამდენიმე სადავო უბანია. ორი ქვეყნის საერთო საზღვრის 480 კილომეტრიანი მონაკვეთიდან მხოლოდ 310 კილომეტრი არის მხარეებს შორის შეთანხმებული. ერთ-ერთ შეუთანხმებელ მონაკვეთზე ქართული კულტურული მემკვიდრეობის სამი უმნიშვნელოვანი ძეგლი: ჩიჩხიტურის, უდაბნოსა და ბერთუბნის სამონასტრო კომპლექსები მდებარეობს. ამათგან დღეის მდგომარეობით ბერთუბანსა (იგი აზერბაიჯანის სიღრმეში საზღვრიდან 2 კმ-ზე მდებარეობს) და ჩიჩხიტურის კოშკს აზერბაიჯანი აკონტროლებს, დანარჩენს კი საქართველო. სხვათაშორის ჩიჩხიტურის კოშკი 2007 წ. დაიკავეს აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა. (ამაზე მაშინ განგაში ტელეგადაცემა „დროებამ“ ატეხა, მაგრამ მოსახლეობამ ხმა არ ამოიღო და...). სამივე მათგანი დავით გარეჯის ერთიანი სამონასტრო კომპლექსის განუყოფელია ნაწილია. ის ტერიტორია, რომლზეც ზემორე მონასტრები მდებარეობენ, ისტორიულად ყოველთვის საქართველოს კუთვნილება იყო. აზერბაიჯანის მფლობელობაში ის დე ფაქტო მხოლოდ 1921 წლის 8 ნოემბერს, ხოლო დე იურე – 1924 წლის 20 ნოემბერს გადავიდა.

საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის მოლაპარაკებებზე ქართული მხარე ამ სასაზღვრო ტერიტორიის სხვა ტერიტორიაზე გაცვლის წინადადებით შევიდა. არსებითია, რომ გარეჯის მონაკვეთზე საზღვრის კორექცია რაიმე დემოგრაფიულ, ან ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებულ პრობლემებს არ შექმნის, რადგან განსახილველი უბნის ფარგლებში თუ მის სიახლოვეში არცერთი დასახლებული პუნქტი, ან სამრეწველო თუ სასოფლო-სამეურნეო ობიექტი არ მდებარეობს. განსახილველი ტერიტორია ნახევარუდაბნოა, რომელიც მხოლოდ საძოვრად გამოიყენება. აზერბაიჯანის მხარე ტერიტორიული გაცვლის წინააღმდეგია და ერთ-ერთ არგუმენტად ის მოჰყავს, თითქოს, დავით გარეჯის მონასტრები ქართული კი არა, ალბანური ძეგლები ყოფილიყოს. დავით გარეჯის მონასტრების ალბანური კულტურის ძეგლად გამოცხადება რაიმე ისტორიული საბუთის მოტანის გარეშე ხდება. ეს გასაგებიცაა, რადგან აზერბაიჯანული ჰიპოთეზის დამამტკიცებელი არანაირი საბუთი არ არსებობს.

დავით-გარეჯის უმთავრესი მონასტრის – წმ. დავითის ლავრის დაარსების დროისთვის (VI საუკუნის შუა წლები) უდაბნოს მთისა და მიმდებარე ყარაიის ველის ქართლის ფარგლებში ყოფნის ცნობა წმ. დავით გარეჯელის ცხოვრებაშიცაა დაცული. ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში მოთხრობილია, თუ როგორ წაწყდა ნადირობისას რუსთაველი დიდებული, სახელად ბუბაქარი, უდაბნოს მთაზე სალოცავად ასულ წმ. დავითს.

აზერბაიჯანს ტერიტორიული პრეტენზიები საქართველოს მიმართ რუსეთის რევოლუციის მოხდენიდან მოკლე ხანშივე გაუჩნდა. ამიერკავკასია ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის შემადგენელ ნაწილად ითვლებოდა, როცა 1917 წლის 15 ნოემბერს ადგილობრივი დროებითი ხელისუფლება – ამიერკავკასიის კომისარიატი შეიქმნა. ორი თვის თავზე, კერძოდ 1918 წლის 10 იანვარს, აზერბაიჯანის ხელისუფალთა მიერ წაქეზებული აზერბაიჯანელი მწყემსები, რომლებიც ცხვარს იმ დროს საქართველოს მფლობელობაში არსებულ ყარაიის ველზე აძოვებდნენ, აგრეთვე სხვა შეიარაღებული პირები, ყაჩაღურად თავს დაესხნენ და ააოხრეს წმ. დავითის ლავრა და უდაბნოს მონასტერი. აი რას წერდა ამის შესახებ დავით გარეჯის უდაბნოს წინამძღვარი, მღვდელ-მონაზონი გერმოგენი: „იანვრის ათს დავით-გარეჯის უდაბნოს დაეცა თათრების (იგულისხმება „აზერბაიჯანელების“) შეიარაღებული რაზმი. რაზმს თან ახლდნენ უიარაღონიც. მთლად გაძარცვეს უდაბნო, გახრწნეს, ბერები დალახეს, ყარაულს იარაღი აჰყარეს და უწყალოდ სცემეს, დაამტვრიეს და მილეწ-მოლეწეს კანდელები, ტრაპეზები, ხატები. ისე გახრწნეს რო, უბრალო სკამიც კი არ დაუტოვებიათ. მოგეხსენებათ, რომ დავით-გარეჯის უდაბნო შესანიშნავი ისტორიული ნაშთია, აღსავსე ფასდაუდებელი ისტორიულის მნიშვნელობის საღმრთო ნივთებითა. ასეთი დღე ამ უდაბნოს არ დასდგომია შაჰაბაზის დროსაც კი. გაძარცვა არ აკმარეს, შენობებს ცეცხლი წაუკიდეს ყოველი მხრივ. ხალხი ჩაეშველა უდაბნოს და ცეცხლი ჩააქრო, მაგრამ დარჩა მხოლოდ ცარიელი დამწვარი ფიცრები. სიმდიდრე ხომ წაიღეს, შეაგინეს, შეურაცხყვეს და წაბილწეს ისტორიული სიწმინდენი და ძეგლნი – ეს არ აკმარეს. აიღეს ჩვენივე, ბერების წერაქვები და ჩვენ თვალ წინ დაანგრიეს, დალეწეს, ლუკმა-ლუკმა აქციეს ტაძრების კანდელები, ტრაპეზები, ხატები, გააფუჭეს გამოკვეთილებში მხატვრობა, თითქოს განგებ შემოსევია ვინმე და დაუვალებია, ყოველივე ნიშან-წყალი გაექროთ ძველის ქართული კულტურისა. შეუბრალებლად სცემეს ბერებს, დაატიტვლეს და ღვთის-ანაბარად დატოვეს. ეს ადგილები ჩვენია, – გვიყვიროდნენ ისინი შეკითხვაზე, – მთავრობამ ჩვენ გვაკუთვნა, როგორც გვსურს, ისე მოვიხმართოთ; გვნებავს – დავანგრევთ, გვნებავს – დავწვავთო. მე მგონი, ქართველი ერი მოვალეა, ხმა ამოიღოს და მოსთხოვოს თათართა საერთაშორისო საბჭოს, ალაგმონ თავისი ხალხი, ნუ იწვევენ უსიამოვნობის და გადახდის ჟინსა“.

თავდამსხმელთა ქცევიდან აშკარა გახდა, რომ მათი ამოცანა არა იმდენად მონასტრის საგანძურისა და სხვა ღირებული ნივთების დაუფლება, არამედ სამონასტრო ქონების სრული განადგურება იყო. ამგვარ ქმედებას კონკრეტული დატვირთვა ჰქონდა: თუ ბერები მონასტრების განახლებას ვერ შესძლებდნენ, ყარაიის დაუსახლებელი ველი ქართველთა მეთვალყურეობის გარეშე დარჩებოდა და აზერბაიჯანელები ჩვენს საძოვრებს ადვილად დაისაკუთრებდნენ. თავდამსხმელები ამას დაუფარავად აცხადებდნენ კიდეც: „მთავრობამ ჩვენ გვაკუთვნა, როგორც გვსურს, ისე მოვიხმართოთ“.

ამიერკავკასიის კომისარიატს დავითგარეჯში მომხდარ ვანდალოობაზე არანაირი რეაქცია არ მოუხდენია. დამნაშავეები არ დაუსჯიათ. 1918 წლის 26 მაისს დაიშალა ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკა და მასში შემავალმა სამმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. დაახლოებით ერთ კვირაში, 1918 წლის 4 ივნისს, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ გაავრცელა საპროტესტო განცხადება აზერბაიჯანისა და სომხეთის მიერ თურქეთთან წარმოებული მოლაპარაკებების გამო, რომლებიც აზერბაიჯანს, სომხეთსა და საქართველოს შორის არსებული სასაზღვრების კორექციასა და დადგენას ეხებოდა. საქართველოს მთავრობის განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ სადავო საკითხები აზერბაიჯანსა და სომხეთს თბილისში უნდა დაესვათ, თურქეთის ჩარევის გარეშე, ხოლო საქართველოს მონაწილეობის გარეშე თურქეთთან რაიმე შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, ქართული მხარისთვის ის მისაღები და სავალდებულო ვერ გახდებოდა.

აზერბაიჯანული მხარე თურქეთთან ცალმხრივი მოლაპარაკებებით არ დაკმაყოფილდა და საქართველოს სრულიად გაუგონარი ტერიტორიული პრეტენზიები წაუყენა. 1918 წლის 14 ივნისს აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი მ. გაჯინსკი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისთვის მიწერილ წერილში აღნიშნავდა: „საქართველოს მთავრობამ, მიაჩნია რა, რომ ბორჩალოს მაზრა მისი ტერიტორიაა, იქ ქართული ჯარი და გერმანული რაზმი შეიყვანა, თითქოსდა, მაზრის ყაჩაღური ბანდებისგან გასაწმენდად... იმის გათვალისწინებით, რომ მთლიანად მუსლიმებით დასახლებული ბორჩალოს, თბილისისა და სიღნაღის მაზრების წარმომადგენლებმა არაერთხელ გამოთქვეს სურვილი აზერბაიჯანის რესპუბლიკის შემადგენლობაში შესვლის თაობაზე, ჩემი მთავრობა პროტესტს გამოთქვამს საქართველოს მთავრობის ზემონახსენები განკარგულების წინააღმდეგ...“.

17 ივნისს ნოე რამიშვილის ხელმოწერით გაგზავნილ საპასუხო წერილში ეწერა: „ბორჩალოს მაზრა ყოველთვის წარმოადგენდა საქართველოს ტერიტორიას და არასდროს გამხდარა კამათისა და ეჭვის საგანი... იმედს გამოვთქვამ, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობა მომავალში არ დაუშვებს საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევის მცდელობას“

საქართველოსადმი ტერიტორიული პრეტენზიების წაყენების პროვოცირებას, არცთუ იშვიათად, თავად ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობა იწვევდა: იზიარებდა რა ლ. ნათაძის წინადადებას საქართველოში მცხოვრები თემების ეროვნული ნიშნით გამიჯვნის შესახებ, 1917 წლიდან მოყოლებული მენშევიკური მთავრობა მეზობელ ქვეყნებს ჰპირდებოდა, რომ საქართველოში სხვა ეროვნების წარმომადგენელთა მიერ კომპაქტურად დასახლებული ტერიტორიებს გადასცემდა. სწორედ ამასთან დაკავშირებით წერდა მიხეილ ადამაშვილი (მ. ჯავახიშვილი): „ჩვენი ბრმა და ყრუ მთავრობა ხელზე იხვევს ყოვლად უაზრო და ხალხის დამღუპველ რეალ მოსახლეობას და აპირებს უცხოელებს დაუთმოს საქართველოს ყელი და მთავარი ძარღვები. ყარაიაზის ამბები, დავით გარეჯა, აბასთუმანი და დარიალი მხოლოდ ცდა იყო ჩვენი ძალისა“.

აზერბაიჯანის მხრიდან საქართველოს ტერიტორიის მიტაცების მცდელობა ქვეყნის ხელისუფლების სათავეში კომუნისტების მოსვლის შემდეგაც გაგრძელდა. ამასთან დაკავშირებით თავის გულისტკივილს რ. ინგილო შემდეგნაირად გამოთქვამდა: „ამას წინად ჩვენ ვწერდით იმ ანორმალ დამოკიდებულების შესახებ, რომელიც არსებობს საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის და აღვნიშნავდით, რომ ეს მოვლენა უმთავრესად გამოწვეულია ტერიტორიული საკითხის მოუწესრიგებლობით. ჩვენ აგრეთვე ვამბობდით იმასაც, რომ რესპუბლიკის საზღვრები ოთხსავე მხრით შესწორებას მოითხოვენ სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების მიხედვით. საქართველოს მთავრობა მიუხედავად იმისა, რომ მშვიდობიანობის სურვილით არის აღსავსე, მაინც ვერ ახერხებს ამ საკითხების სათანადოდ გადაჭრას და თავიდანვე მოემწყვდია ერთგვარ მოჯადოებულ წრეში, რომელსაც ვერ იქნა და ვერ მოსცილდა. მთავრობამ ამ ზაფხულს სამშვიდობო ხელშეკრულება დასდო აზერბაიჯანთან და იმედოვნებდა, რომ ამ აქტს მოჰყვება ძველი გაუგებრობისა და შუღლის

დასასრული მე-6 გვერდზე

საგანმანათლებლო კერა

საგარეჯოს ბიბლიოთეკა 130 წლისაა

ბიბლიოთეკებისა და საბიბლიოთეკო საქმის შესახებ საუბარს გვერდს ვერ ავუვლით, თუ არ გადავხედავთ ჩვენი ქვეყნის ისტორიას. რაიმე ხელშესახები ცნობა, თუ რომელი წლიდან არსებობს ჩვენს ქვეყანაში ბიბლიოთეკები, არ გაგვაჩნია. მაგრამ, თუ ლოგიკურად ვიმსჯელებთ, ისეთი ისტორიისმქონე ქვეყანა, როგორიც საქართველოა, წიგნთსაცავების გარეშე ვერ იქნებოდა. ჯერ კიდევ პირველ საუკუნეებში დაწერილ წიგნებში, რომლებიც ქართველი დიდებულების საეკლესიო და საერო ცხოვრებას ეხებოდა, ჩანს იმ დიდი კულტურისა და განათლების ნიმუშები, რომლებიც ქართველი ერის შეგნებაში ყალიბდებოდა. ეს წიგნები იწერებოდა, ასახავდა ქვეყნის იმდროინდელ ცხოვრებას და ყოფას. გვამცნობდა ხალხის ზნე-ჩვეულებებს, ყოფით პრობლემებს, ახალი ქრისტიანული რელიგიის დამკვიდრებას. იწერებოდა წიგნები და საჭირო იყო მათი დაცვა და შენახვა. ეს თავისთავად ნიშნავდა იმას, რომ ეს წიგნები სადღაც ინახებოდა.

ღარიბი და დაბალი ფენის წარმომადგენლები უსახსრობის გამო ვერ შეძლებდნენ მის შენახვას. ეს წიგნები დიდი ფეოდალების და მეფეთა კარზე ინახებოდა. როცა საქართველოში ქრისტიანული რელიგია გავრცელდა, სასულიერო პირები ქრისტიანული რელიგიის გავრცელებას ხალხში წმინდა წიგნებისა და სარიტუალო ლიტერატურის გარეშე ვერ შეძლებდნენ. როცა ამ წიგნთსაცავზე ვლაპარაკობთ, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ისეთი სახით არსებობდნენ, როგორც დღეს არიან. ცხადია, საუკუნეების მანძილზე ბიბლიოთეკებმა ბევრი ცვლილება განიცადეს, ვიდრე დღევანდელ სახეს მიიღებდნენ.

მეფეები და ფეოდალები ეკლესია-მონასტრებში პატარა კუთხეებს ქმნიდნენ წიგნების შესანახად. ბიბლიოთეკების ისტორიაში სწორედ ეს საცავები განიხილებიან როგორც ბიბლიოთეკები, რომლებიც განკუთვნილი იყო ხალხის ვიწრო წრისათვის, მდიდარი მემამულეების ოჯახებისა და სასულიერო პირებისათვის.

გასულ საუკუნეებში, როცა საქართველოში მშვიდობა იყო და ქვეყანა ისვენებდა გარეშე მტრების შემოსევებისაგან, ქვეყანა კულტურულ აღორძინებას და აყვავებას განიცდიდა. ცხადია, იმ წლებში უფრო ბევრი წიგნი იწერებოდა. თვითონ ქართველი მეფეები ქმნიდნენ ახალ შედევრებს. წერდნენ წიგნებს და მტრის შემოსევებისაგან რომ დაეცვათ, სხვა განძეულობასთან ერთად მონასტრების სამალავებში ინახავდნენ.

ისტორიულმა აუცილებლობამ განაპირობა ის გარემოება, რომ თავდაპირველად მძლავრი სასულიერო კერები შეიქმნა ქვეყნის გარეთ. თვითონ საქართველოში შეიქმნა უდიდესი სამონასტრო კომპლექსები: ტაო-კლარჯეთში, ოპიზაში. ხანძთა, რომელიც გრიგოლ ხანძთელმა დააარსა. იშხნის და ხახულის მონასტრები, რომლებიც დავით კუროპალატს აუშენებია. ამ მონასტერში მოღვაწეობდა ქართველი მწერალი გიორგი მთაწმინდელი. ქართლსა და კახეთში უამრავ მონასტერთაგან გამორჩეულია შიო მღვიმის მონასტერი, რომელმაც მეექვსე საუკუნეში დაიწყო ფუნქციონირება. შუა საუკუნეებში ამ მონასტრებმა ბევრი ცნობილი სასულიერო პირი გაუზარდა ქვეყანას. როგორც ჟურნალი „დროება“ 1879 წელს წერდა, ამ მონასტრდან მრავალი წიგნი წამოუღია არქიმანდრიტ კესარიოს და თბილისის ფერისცვალების მონასტერში დაუბინავებია.

თავისი მუშაობის ხასიათით, საერო და საეკლესიო ცხოვრების წესით, შიო მღვიმის მონასტერთან ძალიან ახლოს დგას დავით გარეჯის მონასტერი. იგი წარმოადგენს დიდებულ კომპლექსს მთელ კახეთში და საქართველოს კულტურის ერთ-ერთ უდიდეს ცენტრს ადრეულ საუკუნეებში.



ერთ-ერთი ასურელი მამის წმ. დავითის მიერ საფუძველჩაყრილი გარეჯის სამონასტრო კომპლექსი VI საუკუნის I ნახევრიდან მოყოლებული, ვიდრე XX საუკუნის დამდეგამდე, ქრისტიანული საქართველოს უდიდეს სასულიერო და კულტურულ კერას წარმოადგენდა. უპირველეს ყოვლისა კი ლავრას, ლავრას, სადაც წმინდა დავითის საფლავი რჩებოდა.

ტრადიციით გარეჯის მრავალმთას მინიჭებული ჰქონია მესამედი წილი იერუსალიმის მადლისა, რის გამოც იგი გამორჩეული საკრალურობით მთელს ამიერკავკასიაში გამორჩეულ ადგილად ითვლებოდა. ***ლავრა, დოდოს რქა, ნათლისმცემელი, ბერთუბანი, საბერეები, ქოლაგირი, ჩიჩხიტური, თეთრი უდაბნო, წამებული, მრავალწყარო, განსაშორი, წინწყარო, პირუკუღმა.*** ეს ის ადგილებია, სადაც საუკუნეები ლოცულობდნენ ქართველი მორწმუნეები და სამონასტრო კომპლექსად საუკუნეების განმავლობაში და უკვე XII საუკუნეში სრულყოფილ სამონასტრო ქალაქს წარმოადგენდა. ყველაზე მნიშვნელოვანი ამ კომპლექსიდან დავით გარეჯის, ანუ დავითის ლავრაა. სამწუხაროდ, დავით გარეჯის მონასტერში დაცული ადრინდელი დოკუმენტებიდან ძალიან ცოტაა შემორჩენილი, მაგრამ იმან, რამაც ჩვენამდე მოაღწია, მოგვცა იმის დამტკიცების საშუალება, რომ აქ კულტურული ცხოვრება დუღდა.

დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა ძირითადად სამი მიმართულებით მუშაობდა:

1) ჰაგიოგრაფიულ-ჰიმნოგრაფიული კრებულების დამუშავება;

2) პოლემიკური ლიტერატურის დამუშავება;

3) ლიტერატურული საქმიანობა (ხელნაწერების გამრავლება და ბიბლიოთეკების შექმნა).

ეს სამი ფაქტორი განსაზღვრავდა გარეჯის საქმიანობას (იხ. მ.ქ ქანთარია. დავით გარეჯის სამონასტრო სკოლა. თბ. 1965წ. გვ 44).

ამ მონასტერში მოღვაწეობდა ბერი ონოფრე მაჭუტაძე. მის დროს დიდი ყურადღება ექცეოდა საბიბლიოთეკო საქმეს. მის დროს მონასტერში გარეჯში ხელნაწერი თუ სტამბურად დაბეჭდილი სხვადასხვა დასახელების 76 ტომი იყო შენახული. თითოეული ტომი კი თავის მხრივ რამდენიმე ტომისაგან იყო შეკრული. შემდეგში ეს ტომები დაედო საფუძვლად დავით გარერჯის სამონასტრო ცენტრის ბიბლიოთეკის შექმნას. (იხ: ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები. ტ 1, ნაკვეთი 1. თბ. 1962წ. გვ. 299).

გარეჯის ლიტერატურული სკოლა გააქტიურდა XVII-XVIII საუკუნეებში ერეკლე პირველის დროს. ონოფრე მაჭუტაძის სახელს მიეწერებოდა პირველი ბიბლიოთეკის შექმნა. უდაბნოში მან შექმნა წიგნსაცავი დაკომპლექტებული ძველი ქართული ბიბლიური, ფილოსოფიური, აგიოგრაფიული თუ საისტორიო ხელნაწერებითა და სტამბურად დაბეჭდილი საღვდელთმსახურო წიგნებით. ონოფრე მაჭუტაძემ ამ ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების სიაც კი შეადგინა (იხ. ივ. ჯავახიშვილი: „სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურტული მოღვაწეობიდან).

(გაგრძელება იქნება)

ლიანა ურდულაშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფი

სოფელი უდაბნო

კომლი – 185
მოსახლეობა – 830 კაცი
იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა – 25 ოჯახი
საკოვარი – 26429 ჰა
სახნავ-სათესი – 740ჰა
ერთწლიანი კულტურებით განაშენიანებული მიწის ფართობი – 482 ჰა
მრავალწლიანი კულტურებით განაშენიანებული მიწის ფართობი 2 ჰა

სოფლის ისტორია

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება

ის იყო ახალი ცხოვრების კვალს ახლად ატარებდა და დავით-გარეჯის ისტორიული მონასტრების გვერდით გიგანტური მეცხვარეობის მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებისათვის ახალი სოფლის მშენებლობას გეგმავდა, რათა მრავალსაუკუნოვანი დაუსახლებელი მხარე ახალი საქართველოს სამსახურში ჩაეყენებინათ: ეძებდნენ ისეთ მშენებელ ენთუზიასტს, რომელიც მგლებითა და აფთრებით სავსე მხარეს სიცოცხლეს დაუბრუნებდა.

ასეთი ენთუზიასტი კაცის ძებნას ჩვენს რაიონში დიდი დრო არ დასჭირდა, ვინაიდან ასეთი კაცი უკვე არსებობდა სოფელ პატარძეულში – გიგო ჯიღაურის სახით, რომელსაც შეეძლო მოკლე დროში ხორცი შეესხა ქართველი პატრიოტების და მშრომელების მიზანდასახულობათა აღსრულებისათვის.

დრო არ ითმენდა, დროზე უნდა აეშენებინათ საუკუნოვანი ტრამალები და ხალხის სამსახურში ჩაეყენებინათ.

საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ ისტორიულად ძირძველი ქართული მიწა, იქ არსებული მსოფლიო მნიშვნელობის კლდეებში ნაკვეთი ისტორიული ქალაქ-მონასტერი, რომელიც 30 კმ რადიუს სივრცეზე იყო გადაჭიმული, ლენინის ბრძანებით ქართველი ხალხის დაუკითხავად და ს. ორჯონიკიძის თანხმობით 1918 წლის ნოემბერში აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკას გადაეცა და ქართული მონასტრები აზერბაიჯანელი მწყემსების საკუთრებად იქნა გამოცხადებული.

1924 წელს ლენინის გარდაცვალებისთანავე ქართველმა პატრიოტმა მეცნიერებმა თავისი ენერგიული ბრძოლით მიაღწიეს იმას, რომ საქართველომ არალეგიტიმურად წართმეული მიწის ნაწილი მაინც დაიბრუნა და ამიერკავკასიის კავბიუროს უფროსი ს. ორჯონიკიძე დაითანხმეს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ცხენოსანი არმიის უხეში საკვები ბაზის და საძოვრების საჭიროებისათვის გარეჯის მინდორ “ტაირის” ტერიტორიაზე სასწრაფოდ ჩამოეყალიბებინათ თივის დამზადების პუნქტი, რათა შემდგომში ეს პუნქტი მეცხვარეობისა და მსხვილფეხა პირუტყვის ბაზად გამოეყენებინათ. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა წარმოშობით თუში უნიჭიერესი ზოოტექნიკოსი კოსტალე აბაშიძე. ამავე პერიოდში დაიწყო კულაკებისათვის ცხვრის და მსხვილფეხა პირუტყვის ჩამორთმევა და გარეჯის ტერიტორიაზე 75 ათასმა ცხვარმა და დიდძალმა მსხვილფეხა პირუტყვმა მოიყარა თავი, რისთვისაც სასწრაფოდ გახდა საჭირო ბინების და ფარეხების აშენება.

მაშინდელმა საბჭოთა საქართველოს მთავრობამ დაადგინა – გარეჯის ტერიტორიაზე მინდორ “ტაირის” ფართობებზე თივის დამზადების ბაზა გადაკეთებულიყო მეცხვარეობის და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობად კოსტალე აბაშიძის ხელმძღვანელობით. 1926 წელს გადაწყდა სასწრაფოდ დაწყებულიყო სოფლის მშენებლობა, სადაც ჩასახლდებოდნენ უდაბნოს მეცხვარეობა-მეცხოველეობის მეურნეობის თანამშრომლები. ამ მუშათა დაბის მშენებლობის ორგანიზატორად დაამტკიცეს მშენებლობაში დიდი გამოცდილების მქონე პატარძეულელი თვითნასწავლი მშენებელი ინჟინერი გიგო ზაქარიას ძე ჯიღაური.

გაიჭრა ყამირი და ჩაეყარა ბალავარი დიდ მშენებლობას.

“ტაირი” – ასე ერქვა გარეჯის მინდორს, სადაც პირველი მშენებლები მოვიდნენ. “ტაირი” ერქვა საუკუნოვან ქარდაკრულ და სისხლისმღვრელ ბრძოლებში სისხლით გაჟღენთილ მიწას, სადაც შეუიარაღებელი კაცი ვერ გაივლიდა მგლის და აფთრის შიშით.

მარტო ნადირი როდი იყო ახალმშენებელთა მტერი. იმ დროს უდაბნოს ტერიტორიაზე ყაჩაღთა რამდენიმე ბანდა მოქმედებდა და შიშის ზარს სცემდა მწყემსებს.

1928 წლისთვის გიგო ჯიღაურის თავდადებული შრომით მინდორ “ტაირზე” უკვე გაჩნდა მშენებარე სოფლის პირველი ქვიტკირის სახლები და სოფლის მკვიდრი მოსახლეობაც. დაიწყო ახალმოსახლეთა კარმიდამოს კეთილმოწყობაც. გიგო ჯიღაურს გვერდში ედგნენ და მის ჭირსა და ლხინს იზიარებდნენ მისი თანასოფლელი ბიძაშვილები და მეზობლები – შალვა, ვანო და ზალიკო ჯიღაურები, გიორგი მარტიაშვილი, მიშა ჟონჟოლაძე, ნიკა უსტიაშვილი, გორია ხმალაძე, გიორგი ნარიმანიშვილი, გიორგი ხუციშვილი, ვანო მარტიაშვილი, სიმონა ელერდაშვილი, სანდრო ივანიაშვილი, ვასო გაგნიაშვილი და კიდევ მრავალი სხვა თანამემამულე.

ახალმშენებლებს ერთი დიდი საწუხარი ჰქონდათ – უწყლობა აწუხებდათ. აქაც გიგო ჯიღაურმა მოუხსნათ ეს პრობლემა. ახალმოსახლეთა სასმელი და ტექნიკური წყლით მომარაგებისათვის დასახლებიდან 4 კილომეტრის მოშორებით მინდორ “დიფსიზზე” აღმოაჩინა წყარო და კეთილმოაწყო, იქვე ააშენა მშვენიერი წყარო. მერე “ჟანგირზე” და “ყარადუზზედაც” მოაწყო წყაროები და მეცხვარე მწყემსებს დიდი სამსახური გაუწია.

მაშინდელი საბჭოთა მთავრობა მატერიალურ სახსრებს და პატრიოტულ ზრუნვას არ იშურებდა უდაბნოს გზებისა და ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობისათვის, გიგო ჯიღაურმა თავისი თავდადებული შრომით და ორგანიზატორული ნიჭით “ტაირის” უკაცრიელი მინდორი უამრავი საცხოვრებელი სახლითა და კულტურულ-სამეურნეო ნაგებობებით დაამშვენა, ხოლო უკაცრიელი მინდვრები ცხვრის და მსხვილფეხა პირუტყვის სადგომებითა და ფარეხებით. გიგო ჯიღაურის შრომა და თავდადება ლეგენდად იქცა და სახელოვანი მამულიშვილის სახელი დაიმკვიდრა.

მომდევნო წლებში გიგო ჯიღაურის ღვაწლი იმით დაფასდა, რომ დაბა უდაბნო კიდევ უფრო კეთილმოწყო და მთელი საქართველოს საყოველთაო ზრუნვის საგნად გადაიქცა.

გიგო ჯიღაურისათვის გარეჯის უდაბნო გადაიქცა უდიდესი პატრიოტულ-მამულიშვილური ზრუნვის საგნად

აქ 1980 წლის ნოემბერში სასოფლო საბჭო გაიხსნა.

მერის წარმომადგენელი სოფელ უდაბნოში

გიორგი ჟორჟოლიანი

დაიბადა 1986 წელს;

განათლება: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (1980-1984წწ), საერთაშორისო სამართლის სამართალმცოდნე;

სამუშაო გამოცდილება: შპს „ქარვასლა“ – გასართობი ცენტრი ამსტერდამი (2012-2015 წწ); კომპანია გარეჯი-ლაინი – ტურისტული მენეჯერი (2015-2016წწ); შპს თიბისი ფეი – ინკასატორი (2016-2018წწ);

2018 წლის 5 მარტიდან დაინიშნა მერის წარმომადგენლად სოფელ უდაბნოში.

დეპუტატი – ალექსანდრე იოსელიანი

დაიბადა 1967 წელს

განათლება 1985-1990 წლები – თბილისის ტექნიკური ინსტიტუტი, კვალიფიკაცია – ინჟინერი;

1991-1996წწ – პოლიციის აკადემია, კვალიფიკაცია – სამართალმცოდნეიურისტი;

სამუშაო გამოცდილება: 2000-2003წწ – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ უდაბნოში მდებარე დამხმარე საცდელი მეურნეობის დირექტორი;

2004-2012 წწ – კერძო ბიზნესი;

2014 წლიდან დღემდე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო – ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე.

ინფრასტრუქტურა

გასულ, 2018 წელს მგზავრთა მოსაცდელზე ჩატარდა ქვის კიბისა და ტერასების მოწყობის სამუშაოები (გაიხარჯა 3580 ლარი);

სოფელს წყალმომარაგება 2016 წლიდან 24 საათიანი აქვს.

გარე განათება სოფლის ყველა ქუჩაზეა.

სოფლის ქუჩები მოსაასფალტებელია და არ არის სანიაღვრე არხები.

დაზიანებულია სოფლის კანალიზაციის

დასასრული მე-6 გვერდზე

<u>**დასასრული**</u>

სისტემა.

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით რიტუალების დარბაზისთვის აქ სკამებსა და მაგიდებს შეიძენენ.

გაიხსნა საზოგადოებრივი ცენტრი, (მენეჯერი მაია შუკვანი, დასაქმდა 5 ადამიანი) მისი ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 25425 ლარი გაიხარჯა.



<u>ჩვენს მუნიციპალიტეტში</u>

სოფელი უდაბნო

საჯარო სკოლა

სკოლის 117 მოსწავლის სწავლა-აღზრდის საქმეს 21 პედაგოგი ემსახურება. 2018 წელს სკოლაში გათბობის სისტემა გაკეთდა. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლა 8 მოსწავლემ დაამთავრა. ახალ სასწავლო წელს აქ 13 პირველკლასელი შეადგებს საკლასო ოთახის კარს. სკოლის დაწყებითი განათლების საფეხურის პედაგოგები არიან ნაირა მურჯიკნელი, ნარგიზა სამსიანი, ნინელი ფარჯიანი და სოფიო გიბიშვილი.

საბავშვო ბაღი

უდაბნოელებს საბავშვო ბაღის *(მენეჯერი ნელი კორძაია)* ახალი შენობა აქვთ.

აქ მიმდინარე სასწავლო წელს 40-მდე აღსაზრდელს აღმზრდელ-პედაგოგები: ქეთევან ჩოკოშვილი და თამარ ავალიანი, აღმზრდელის თანაშემწეები ინდირა მარგველანი და მაია ალადაშვილი, მუსიკის მასწავლებელი დიანა ვარაზაშვილი, ექთანი ლუდმილა (დინარა) ქალდანი, მზარეული გულო მარტიაშვილი-რიკაძე, სანიტარი დალი ბერიძე ემსახურება. სასწავლო წლის ბოლოს 13 აღსაზრდელი საჯარო სკოლის პირველკლასელთა სიაში გადაინაცვლებს, მომავლისთვის კი, როგორც მენეჯერმა ნელი კორძაიამ გვითხრა საუბარში, მომავალი 2018-2019 წლისათვის საბავშვო ბაღის კარს 15 აღსაზრდელი შეადგებს და იმ პირველკლასელებს ჩაანაცვლებს.

მიმდინარე წელს საბავშვო ბაღის სამზარეულოში გამწოვი დაამონტაჟეს, სამზარეულოს მუდმივ რეჟიმში აქვს ცივი და ცხელი წყალი. მომავალი სასწავლო წლისათვის საბავშვო ბაღში გასახდელ ოთახსა და სამზარეულოში კარადებს განათავსებენ.

ქართული მიწების გადაცემა აზერბაიჯანისთვის 1921–1924 წლებში

<u>**დასასრული**</u>

უკუგდება. მთავრობა სასტიკად მოტყუვდა! „წითელი“ აზერბაიჯანი ისეთივე უპირობო კონტრაგენტი გამოდგა, როგორც მისი წინამორბედი – მუსავატელი“.

1921 წლის 25 თებერვალს ბოლშევიკური რუსეთის ჯარების მიერ საქართველოს ოკუპაციის დროს აზერბაიჯანის სსრმ მოახდინა ზაქათალას ოლქის ოკუპაცია. საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა, რომელიც იმხანად საქართველოს მთავრობის მოვალეობას ასრულებდა, არათუ არ იზრუნა მის დაბრუნებაზე, არამედ ფაქტიურად დაუკანონა ოკუპირებული ტერიტორია აზერბაიჯანს.

1921 წლის 2 მაისს, ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ტერიტორიული საკითხების მოგვარების მიზნით, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიროს პლენუმის დადგენილებით შეიქმნა სპეციალური კომისია სერგეი კიროვის თავმჯდომარეობით. სერგეი კიროვი, იგივე კოსტრიკოვი, რომელიც საქართველოს ხელისუფლების სათავეში მენშევიკების ყოფნის ბოლო წელს თბილისში რუსეთის ელჩი იყო, ფაქტიურად კი საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის ძირგამომხრელ საქმიანობას ხელმძღვანელობდა, ამ კომისიის თავმჯდომარეობის დროს აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გახლდათ. საქართველოს მხრიდან კომისიაში შედიოდნენ სახალხო კომისრები ალექსანდრე სვანიძე და სილვესტრ თოდრია.

1921 წლის 26 ივნისს თბილისში გამართულ სხდომას, რომელზეც ზაქათალის ოლქისა და ყარაიის ველის სადავო საკითხი განიხილებოდა, კომისიის წევრებს გარდა ესწრებოდნენ გრიგორი (სერგო) ორჯონიკიძე, მამია ორახელაშვილი და შალვა ელიავა. აზერბაიჯანის მხარის მიერ (ჰუსეინოვი, გაჯინსკი, რასულ-ზადე, ომარ ფაიკი) შემოთავაზებული იქნა შემდეგი გადაწყვეტილების პროექტი: „პოლიტიკური მოსაზრებებით აზერბაიჯანის სსრ პრეტენზიას არ აცხადებს, რომ აღნიშნული რაიონები (ზაქათალის ოლქი და ყარაიის უბანი) მას შეუერთონ, მაგრამ მოითხოვს, საქართველომ იურიდიულად ცნოს და დაუმტკიცოს თათარ გლეხებს, რომ მათ უდავო უფლება აქვთ ფაქტობრივად ისარგებლონ იმ მიწებით (საძოვრებითა და სხვა სავარგულებით), რომლებსაც მეფის და მენშევიკების რეჟიმის დროს ფლობდნენ. ამასთან, საქართველო მთელ ადგილობრივ ძალაუფლებას ყარაიაზელ გლეხებს გადასცემს და ვალდებულებას კისრულობს ყაზახის გვერდის ავლით არანაირი განკარგულება არ გამოსცეს. იმ მიწების ზუსტად გამიჯვნისთვის, რომლებითაც აზერბაიჯანელმა გლეხებმა უნდა ისარგებლონ, ინიშნება საგანგებო შერეული კომისია“.

27 ივნისის სხდომაზე ქართულმა მხარემ პროტესტი განაცხადა წინა დღეს აზერბაიჯანის წარმომადგენელთა მიერ გადაწყვეტილების პროექტის ტექსტში შეტანილი ერთი ფრაზის გამო: „მთელ ადგილობრივ ძალაუფლებას ყარაიაზელ (ანუ „აზერბაიჯანელ“) გლეხებს გადასცემს“, რასაც მწვავე კამათი მოჰყვა. საბოლოოდ, ზემოთ დამოწმებულ ტექსტში შემდეგი ცვლილება შეიტანეს: „მთელ ძალაუფლებას, გარდა პოლიტიკურისა“ და დადგენილება შესწორებული სახით მიიღეს.

1921 წლის 5 ივლისს თბილისში გაიმართა საქართველოს სსრ და აზერბაიჯანის სსრ წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელმაც დაადგინა შემდეგი: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა უარს ამბობს ყველა თავის პრეტენზიაზე ზაქათალის ოლქზე სახელმწიფოებრივი საზღვრების ფარგლებში, რაზედაც საქართველოს რევკომი გამოსცემს შესაბამის დეკლარაციას“. საბოლოოდ დადგენილება მუხლობრივად ასე ჩამოყალიბდა: „1. პოლიტიკური საზღვრები აზერბაიჯანის სსრ-სა და საქართველოს სსრ-ს შორის რჩება უცვლელი. 2. საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ყარაიას ველის საკითხის შესახებ კონფერენციამ შემდეგი დაადგინა: ა) ცნობილ იქნეს სრული განსაკუთრებული მფლობელობა და სარგებლობა ყაზახის მაზრის გლეხების მიერ ყარაიას ველისა, დაახლოებით ქვემონახსენებ საზღვრებში, ამასთან დაცული იქნეს არსებული სახელმწიფო საზღვარი აზერბაიჯანის სსრ და საქართველოს სსრ-ს შორის“. ამ ფრაზის შემდეგ, განსაზღვრული იყო ტერიტორიის ფაქტიური მფლობელობის საზღვარი. დადგენილებას თან ერთვოდა ორპუნქტიანი შენიშვნა, რომელშიც მითითებული იყო შემდეგი: „ა) ყაზახის გლეხების მფლობელობის ზუსტი საზღვრების დადგენა ევალება განსაკუთრებულ შერეულ კომისიას, რომელიც მუშაობას შეუდგება წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერიდან ორი კვირის ვადაში. ბ) ყაზახის მაზრის გლეხები, რომლებიც არიან ფაქტიური მფლობელნი და მოსარგებლენი ამ ველით, ყველა შემთხვევაში იხელმძღვანელებენ აზერბაიჯანის სსრ კონსტიტუციითა და დაემორჩილებიან ყაზახის მაზრის აღმასკომს“. დადგენილებას ხელი მოაწერეს რევკომების თავმჯდომარეებმა ფილიპე მახარაძემ და ნარიმან ნარიმანოვმა.

კონფერენციის დადგენილების საფუძველზე შეიქმნა სპეციალური შერეული კომისია, რომლის პირველი სხდომა 1921 წლის 27 ივლისს აღსტაფაში გაიმართა. საქართველოს მხრიდან კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ პავლე ინგოროყვა, იმ დროს საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მრჩეველი, და ვახტანგ მაჩაბელი. პავლე ინგოროყვამ ქართული მხარისთვის მიუღებლად მიიჩნია კონფერენციის დადგენილების მეორე პუნქტის „ბ“ შენიშვნაში მოცემული ფორმულირება, რამდენადაც მისი ტექსტი გაცილებით მეტს გულისხმობდა, ვიდრე უბრალოდ ყაზახის რაიონის გლეხების ყარაიას ველის საძოვრებზე მფლობელობის ზუსტი საზღვრების დადგენას. მხარეებს შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა, თუმცა გადაწყდა, რომ ზუსტი საზღვრების დადგენამდე ყაზახის მაზრის გლეხებს უფლება მიეცემოდათ დაუბრკოლებლად ესარგებლათ ყარაიას ველის ყველა იმ საძოვრითა და სავარგულით, რითაც ისინი ადრე სარგებლობდნენ.

1921 წლის 8 ნოემბერს თბილისში გამართულ შერეული კომისიის სხდომაზე (თავმჯდომარეები – ვ. კანდელაკი და ა. აბასოვი, წევრები – დ. ვექილოვი, ა. ბერიძე და მ. შიხლინსკი) დადგინდა ყაზახის მაზრის გლეხების ფაქტიური სარგებლობისა და მფლობელობის საზღვრები ყარაიას ველზე. ამ დადგენილებით ბერთუბნისა და უდაბნოს მონასტრების ტერიტორიები მთლიანად აზერბაიჯანელ გლეხთა ფაქტიურ მფლობელობაში აღმოჩნდა; მათსავე სარგებლობაში გადავიდა ტერიტორია ჩიჩხიტურის მონასტრის იმ ნახევრით, რომელიც უდაბნოს მთის სამხრეთ ფერდობზე მდებარეობს; მეორე, ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე განთავსებული ნაწილი კი საქართველოს დარჩა. მომდევნო სხდომაზე, 1921 წლის 15 ნოემბერს, ხელი მოეწერა შეთანხმებას საქართველოს სსრ და აზერბაიჯანის სსრ ადმინისტრაციული საზღვრის გატარების შესახებ, თუმცა ყარაიას ველის ზამთრის საძოვრების მფლობელობის საკითხი კვლავ სადავო დარჩა. ამ დოკუმენტზე საქართველოს მხრიდან ხელი მოწერილი აქვს რევკომის თავმჯდომარეს ბუდუ მდივანს, აზერბაიჯანის მხრიდან კი – ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს მუხტარ გაჯი ზადეს. აღნიშნული დოკუმენტით უკვე იურიდიულად აზერბაიჯანის ხელში გადადიოდა ზაქათალას ოლქი.

ამავე შეთანხმებით მოწესრიგდა დავა ბორჩალოსა და ყაზახის მაზრებს შორის და მეორე სადავო მონაკვეთი დავით-გარეჯიდან მდინარე მტკვრამდე წითელი ხიდის მიდამოებში გადაეცა საქართველოს.

ამრიგად, 15 ნოემბრის შეთანხმებით აზერბაიჯანს გადაეცა ზაქათალას ოლქი 3993,89 კვ. კმ. ტერიტორიით და – 75000 კაცით): თბილისის მაზრის გარეჯის ველი, ქვემო ყარაიის სექტორი 658,89 კვ. კმ.; და სიღნაღის მაზრის ელდარის ველი 546 კვ. კმ. ჯამში 17600 კაცით, ანუ ჯამში 4768 კვ კმ 92668 კაცით.

დავით გარეჯი, როგორც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შემადგენელი ნაწილის ოფიციალურ დოკუმენტებში მხოლოდ 1922 წელს გაჩნდა, რასაც 1921 წელს ხელოვნებათმცოდნე გიორგი ჩუბინაშვილის მიერ გარეჯის მონასტრებში მოწყობილ კომპლექსურ ექსპედიციას უნდა ვუმადლოდეთ. ექსპედიციის პროცესში მოპოვებული მასალების შესწავლის შემდეგ გიორგი ჩუბინაშვილმა საქართველოს ხელისუფლებას მოხსენებითი ბარათი წარუდგინა, რომელშიც ხაზი გაუსვა გარეჯის მონასტრების განსაკუთრებულ ადგილს საქართველოს ისტორიასა და კულტურაში. სამწუხაროდ, იმდროინდელმა საბჭოთა ხელისუფლებამ ქართული ტერიტორიის ბედი პარტიული შეხედულისამებრ გადაწყვიტა.

ტერიტორიული დავა საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის კვლავაც გრძელდებოდა. ამერიკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის ცაკის 1923 წლის დადგენილებით საქართველოს აზერბაიჯანისგან დაუბრუნდა ე.წ. წინამინდორი – ყოფილი ზაქათალის მაზრის ალაზნისპირა ველი – 188,44 კვ.კმ ტერიტორია.

მომდევნო პერიოდში აზერბაიჯანს ყარაიის ველის საძოვრების დე იურე გადაცემის საკითხი აღარც დაუსვამს, რადგან ამის აუცილებლობა არც არსებობდა: საქართველოს საძოვრების ფაქტიურ მფლობელებად აზერბაიჯანელი გლეხები გვევლინებოდნენ. ამგვარი მდგომარეობა 1924 წლის ნოემბრამდე გაგრძელდა. საქართველო-აზერბაიჯანის ადმინისტრაციული საზღვრის დემარკაციისადმი დამოკიდებულება მას შემდეგ შეიცვალა, როცა საქართველოში 1924 წლის აგვისტოს ამბოხება მოხდა. საქართველო თავისუფლებისადმი სწრაფვის გამო მკაცრად დაისაჯა: ამიერკავკასიის ცაკთან არსებული ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში შემავალ რესპუბლიკებს შორის არსებული, მიწის, ტყის და წყლით სარგებლობის სადავო საკითხთა მომგვარებელი კომისიის სხდომის 1924 წლის 20 ნოემბრის დადგენილებით, შერეული კომისიის მიერ 1921 წლის 8 ნოემბერსა და 1922 წლის 28 იანვარს დადგენილი საზღვრები „ნატურაში განმტკიცდა“. ამ დადგენილების საფუძველზე აზერბაიჯანის იურიდიულ მფლობელობაში გადავიდა საკმაოდ ვრცელი ტერიტორია, რომელზეც აღმოჩნდა ბერთუბნისა და უდაბნოს მონასტრები მთლიანად, აგრეთვე ჩიჩხიტურის მონასტრის ის ნაწილი, რომელიც უდაბნოს ქედის სამხრეთ ფერდობზე მდებარეობს. დავითგარეჯის მიდამოებში სასაზღვრო დავასთან დაკავშირებული საარქივო დოკუმენტების გაცნობისას ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ოფიციალურ წერილებსა თუ დადგენილებებში საუბარია მხოლოდ საძოვრებზე. აზერბაიჯანული მხარის მიერ საქართველოს ბოლშევიკური მთავრობისთვის საზღვრის საკითხთან დაკავშირებით მიწერილ ერთ-ერთი პირველი წერილი, ფაქტიურად, არის თხოვნა საძოვრების გადაცემაზე იმ საბაბით, რომ ყაზახის მაზრის აზერბაიჯანელ გლეხებს საძოვრების ნაკლებობის გამო საქონელი ეხოცებათ და მძიმე მდგომარეობაში არიან ჩავარდნილნი. ამ წერილზე დადებითი რეზოლუციაა წაწერილი, ეს იმ დროს, როცა სიღნაღის მაზრის ქართველი გლეხები თავად განიცდიდნენ ზამთრის საძოვრების ნაკლებობას.

ამერიკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის ცაკის 1927 წლის დადგენილებით საქართველოს გადმოეცა ყაზახის მაზრის ჩათმის ველი – 132,66 კვ.კმ ტერიტორია, ხოლო 1929 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილებით გარეჯის სანახების მხოლოდ ნაწილი – ბერთუბანი და სხვა აზერბაიჯანს დარჩა.

2000-იანი წლებიდან აზერბაიჯანელები აღარ კმაყოფილდებიან არსებულით, ამოდიან ჩიჩხიტურის ქედზე და პერიოდულად იკავებენ ჩიჩხიტურის მონასტერს სრულად.

სპორტი

როინ ყორღანაშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე

სულ ახლახანს საგარეჯოში ჩატარდა როინ ყორღანაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში. ორდღიან ასპარეზობაში ტატამზე ერთმანეთს დაუპირისპირდნენ 2006-2007 და 2004-2005 წლებში დაბადებული სხვადასხვა რეგიონების წარმომადგენლები, მათ შორის აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების“ საგარეჯოსა (მწვრთნელები მამუკა მათიაშვილი, ნუკრი გაგნიაშვილი) და გიორგიწმინდის (მწვრთნელი გოჩა მეკოკიშვილი, ბადრი ბასილაშვილი) ძიუდოს სექციების აღსაზრდელები.

2004-2005 წლებში დაბადებული მოჭიდავეებიდან 34 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი მანაველი ონისე ბორაშვილი გახდა. ამავე წონაში მესამე საპრაზო ადგილზე გავიდა გიგა ბაქარაშვილი (საგარეჯო).

38 კგ წონით კატეგორიაში იმარჯვა და ჩემპიონი გახდა გიორგიწმინდელი ლევან ღრეული. 42 კგ წონით კატეგორიაში ასევე ჩემპიონობა იზეიმა მისმა თანამემამულემ დავით კევლიშვილმა, გიორგი ზუკაკიშვილი (საგარეჯო) კი მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა ამავე წონაში.

50 კგ წონით კატეგორიაში მესამე პრიზიორი გახდა თენგო მაისაშვილი (საგარეჯო). ლაშა ლოლაძე ჩემპიონი გახდა 66 კგ წონით კატეგორიაში. ამ წლებში დაბადებულ ძიუდოისტებს შორის ასევე ჩემპიონები გახდნენ გიორგი არდვლიანი (73კგ) და სანდრო სონიშვილი (მძიმე წონა), მწვრთნელ კახა ყორღანაშვილის აღსაზრდელი გიორგი დურიშვილი ვერცხლის პრიზიორი გახდა მძიმე წონაში, შალვა ბადრიაშვილი მესამე საპრიზო ადგილზე აღმოჩნდა 73 კგ წონით კატეგორიაში.

2006-2007 წლებში დაბადებულთა შორის ასპარეზობდნენ და ჩემპიონები გახდნენ საბა ოდიკაძე (24კგ) და ოთარ ოდიკაძე (27კგ), ვლადიმერ ოქრომჭედლიშვილი კი მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა (27კგ).

შოთა ბაჩოშვილი უძლიერესი იყო 30 კგ წონით კატეგორიაში. ჩემპიონის ოქროს მედალი 34 კგ წონით კატეგორიაში კვლავ მოიპოვა ონისე ბორაშვილმა, რომელიც წინა დღეს თავისზე უფროსი ასაკის მოჭიდავეებთან ასპარეზობდა. ტურნირის მესამე პრიზიორები გახდნენ ლუკა კანჯარაშვილი (30კგ) და გიგი ესაიაშვილი (მძიმე წონა), რომელთა მწვრთნელები არიან მამუკა მათიაშვილი და ნუკრი გაგნიაშვილი. ასევე, მესამე ადგილზე გავიდა მწვრთნელების გოჩა მეკოკიშვილისა და ბადრი ბასილაშვილის აღსაზრდელი ალეკო ბეჟიაშვილი (24კგ).

ვერცხლი, ამჯერად ერევნიდან



ძიუდოსა და ქართულ ჭიდაობაში საქართველოს პრიზიორი, სხვადასხვა ტურნირების პრიზიორი **გიორგი დურიშვილი** აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების“ მწვრთნელის კახა ყორღანაშვილის განმარტებით, ჭიდაობისათვის არის დაბადებული და ისიც წარმატებით იმკის სხვადასხვა ჯილდოებს ქვეყნის თუ მის ფარგლებს გარეთ გამართულ ასპარეზობებში. ამ დღეებში გიორგიმ თავისი მედლების კოლექცია კიდევ ერთი ვერცხლის მედლით გაამდიდრა. იგი მონაწილეობას იღებდა ქ. ერევანში ჭიდაობა ძიუდოში გამართულ საერთაშორისო ტურნირში 2003-2004 წლებში დაბადებულ ძიუდოისტებს შორის, სადაც 66 კგ წონით კატეგორიაში ოთხი შეხვედრა მეტოქეებთან გამარჯვებით დაასრულა, მაგრამ ფინალი დათმო სომეხ მოწინააღმდეგესთან. მისი ამ შედეგით კმაყოფილი არიან კახა ყორღანაშვილი და საქართველოს ნაკრებში მისი მწვრთნელი თამაზ კარიაული.

ამ წარმატებასთან დაკავშირებით გიორგი დურიშვილი ამ დღეებში გაზეთის რედაქციაში გვესტუმრა. მანამდე ერევნიდან ჩამოსული დავით გარეჯას სწვევია, ამიტომ, რადგან მის შესახებ მკითხველმა ყველაფერი იცის, ჩვენი საუბარი დავით გარეჯას, საქართველოს და დღევანდელობის თემას შეეხო.

– დავით გარეჯა ჩვენი უწმინდესი ადგილია და ყველა ნამდვილი ქართველი, ისე რა ქართველი იქნება, თუ არ დაიცავს მამა-პაპათა მიერ სისხლით ჩვენამდე მოტანილ მამულს, ენას, სარწმუნოებას, ყველაფერ იმას, რაც ქართულია. ქართველები მუდამ მებრძოლი სულის ადამიანები ვართ და არავის უნდა ვაპატიოთ ჩვენი ადგილების ხელყოფა, – აღნიშნა მან ჩვენთან საუბარში.

ამავე ასპარეზობაში 66 წონით კატეგორიაში III საპრიზო ადგილზე გავიდა გიორგიწმინდის საჭიდაო სკოლის აღსაზრდელი გიორგი ხოსიტაშვილი.

ბიჭიკო მარიდაშვილი – 80

ფალავანი, გარეჯული ჭიდაობის ამაგდარი



გარეჯული ჭიდაობის ამაგდარისა და თვალსაჩინო წარმომადგენლის, საქართველოსა და ყოფილი სსრკ-ს საჭიდაო არენებზე არაერთგზის გამარჯვებულსა და პრიზიორს, ქართულ, თავისუფალ, სამბოსა და ჭიდაობა ძიუდოში გარეჯელ მოჭიდავეთა მრავალი თაობების დაკვალიანებელს, გზის მაჩვენებელსა და აღმზრდელს, საუკეთესო ოჯახისა და შთამომავლების ღირსეულ მამასა და პაპას **ბიჭიკო მარიდაშვილს** ამ დღეებში დაბადებიდან 80 წელი უსრულდება. დიდი არსენ მეკოკიშვილის სოფელში დაბადებულმა ჭიდაობაში ვარჯიში 1953 წელს დაიწყო შალვა გზირიშვილთან, ჯერ ქართულ ჭიდაობაში, შემდეგ კი ვარჯიში თავისუფალ ჭიდაობაში, მწვრთნელ ვანო მეკოკიშვილთან გააგრძელა. მას შემდეგ, მართალია, გარკვეული პერიოდი სხვა პროფესიითაც მოუწია მუშაობა, როგორც იტყვიან, ის და გარეჯული ჭიდაობა ხელიხელჩაკიდებული მოდიან და ერთად იმკიან იმ წარმატებებს, რასაც ჩვენებური ფალავნები აღწევენ სხვადასხვა დონის ასპარეზობებში. რაც შეეხება პირადად მის შედეგებს, არის საქართველოს ათგზის ჩემპიონი, აქედან ორგზის თავისუფალ და ორგზის ქართულ ჭიდაობაში, ექვსჯერ ჭიდაობა სამბოში. ნსს „კოლმეურნეს“ მრავალგზის ჩემპიონი ჭიდაობის სამივე სახეობაში, სსრკ შეიარაღებული ძალების სამგზის პრიზიორი (ორი გუნდურში, ერთი პირადში); მინიჭებული აქვს სპორტის ოსტატის წოდება სამივე სახის ჭიდაობაში, არის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ჭიდაობა ძიუდოში.

საგარეჯოს I საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტთან არსებულ მწვრთნელთა მოსამზადებელ კურსებზე თავისუფალ ჭიდაობაში, შემდეგ სწავლა ამავე ინსტიტუტში გააგრძელა, რომელიც დაამთავრა 1963 წელს და იმავე წელს ჩაირიცხა თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტზე. სამხედრო-საავალდებულო სამსახურისა და სწავლის დამთავრების შემდეგ 6 წელს მუშაობდა შს რაიგანყოფილებაში გამომძიებლად. 1976 წლიდან იგი საგარეჯოს რაიკავშირის იურისკონსულტანტია. 1978 წლიდან მუშაობდა გიორგიწმინდის საბჭოთა მეურნეობაში ფიზკულტურის მეთოდისტად. ამ პოსტზე მუშაობის პერიოდში მისი ინიციატივით და მონაწილეობით აშენდა გიორგიწმინდის საჭიდაო დარბაზი. სულ რამდენიმე წელში კი ამ დარბაზში გაზარდა საქართველოს, სსრკ-ს, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონები. 1982 წლიდან მას გიორგიწმინდის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის საპასუხისმგებლო პოსტზე ნიშნავენ და ჩაება მშობლიური სოფლის კეთილდღეობის საშურველ საქმეში.

გასული საუკუნის თვალსაჩინო გარეჯელი მოჭიდავეების პლეადის ასევე თვალსაჩინო წარმომადგენელს თავისი მრავალწლიანი სამწვრთნელო მოღვაწეობის მანძილზე არაერთი სახელოვანი ფალავანი ჰყავს აღზრდილი: საქართველოს, ყოფილი სსრკ-ს, ევროპისა და მსოფლიოს, სხვადასხვა საერთაშორისო ასპარეზობების ჩემპიონები და პრიზიორები: გია ხოსიტაშვილი, გოჩა და გოგიტა მეკოკიშვილები, ბადრი ბასილაშვილი, ძმები კირაკოზაშვილები, დავით ხოსიტაშვილი, გიორგი რევაზიშვილი, დავით სვიმონიშვილი, ლევან ჭიაბერაშვილი, ლაშა ცხვარიაშვილი, ნიკა გილაშვილი, უშანგი კუზანაშვილი და სხვები.

ბიჭიკო მარიდაშვილის სხვა დამსახურებათა შორის უსათუოდ აღსანიშნავია, რომ იგი იყო პირველი ადამიანი, ვინც გიორგიწმინდის საჭიდაო დარბაზში საფუძველი ჩაუყარა საგარეჯოში ჭიდაობა ძიუდოს დანერგვის საქმეს, რისთვისაც მადლიერმა ადამიანებმა დამსახურებულად მონათლეს „ძიუდოს პაპის“ სახელით. ასევე მისი დამსახურებით აქვს საფუძველი ჩაყრილი ცნობილი საგარეჯოელი ფალავნების სახელობის ტურნირებს, რასაც ორმაგი დატვირთვა აქვს – ამ ფალავნების სახელის უკვდავყოფასთან ერთად, ეს ტურნირები ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა მომავალი ფალავნების დაოსტატების საქმეში.

ჩვენი გაზეთის ფორმატიდან გამომდინარე, ერთ საგაზეთო წერილში ძნელია ჩაეტიოს ყველა ის ნიუანსი, რომელთა გადატანაც ამ 80 წლის მანძილზე მოუწია ამ სულითა და გულით გაუტეხელ ადამიანს. კვლავაც ასეთი შემართებით გვეხილოს იგი თავისი 90 თუ 100 წლისთავის იუბილეზე.

გ. დაბახიშვილი

„სპორტი ბარიერების გარეშე“ სპორტული ფესტივალის ფინალში

მიმდინარე წლის მაისში სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ ორგანიზებითა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით საგარეჯოში ჩატარდა სპორტული ფესტივალის „სპორტი ბარიერების გარეშე“-ს მუნიციპალური ტური, რომელშიც მუნიციპალიტეტის ათი საჯარო სკოლის მოსწავლეები იღებდნენ მონაწილეობას. 27-28 მაისს კი მუნიციპალურ ტურში გამარჯვებული სკოლების სპორტსმენები გაემგზავრნენ ქ. ყვარელში გამართულ რეგიონულ ტურში მონაწილეობის მისაღებად, სადაც შეჯიბრებები ჩატარდა კალათბურთში, ფრენბურთში, ჭადრაკში, მინი-ფეხბურთში და სპრინტში.

რეგიონის გამარჯვებული ჭადრაკში გახდა საგარეჯოს I საჯარო სკოლის მოსწავლე ლევან დალბაშვილი, მისი თანასკოლელი ვანო ნარიმანიძე მეორე იყო სპრინტში 60 მეტრ დისტანციაზე. აღნიშნული მოსწავლეები ამ შედეგით გავიდნენ სპორტული ფესტივალის ფინალში და მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკურ პირველობაში, რომელიც ამ ზაფხულს მანავის მოსწავლე-ახალგაზრდობის საზაფხულო ბანაკში ჩატარდება.

გ. დაბახიშვილი

უტევენ თავისუფალი სტილის მოჭიდავეები

აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების“ თავისუფალი სტილის მოჭიდავეებს არაერთხელ გაუხარებიათ საგარეჯოელი გულშემატკივრები ქვეყნისა თუ მის ფარგლებს გარეთ გამართულ ასპარეზობებში მოპოვებული წარმატებებით. გამონაკლისი არც მიმდინარე წელია. ქვიშის ჭიდაობაში ოლიმპიური თამაშების ლიცენზიით „გააცილა“ ეს გაზაფხული მრავალი გამარჯვებისა და ჯილდოების მფლობელმა, ევროპის, მსოფლიო და სხვა საერთაშორისო ტურნირების ჩემპიონმა და პრიზიორმა დავით ხუციშვილმა. ამ ლიცენზიის მოსაპოვებლად მან არაერთი საერთაშორისო ტურნირი მოიგო, რომლის დამაგვირგვინებელი აკორდი იყო 10-12 მაისს ბრაზილიაში გამართული ქვიშის ჭიდაობაში ჩემპიონის ტიტულისა და აღნიშნული ლიცენზიის მოპოვება. ამ გამარჯვებით ჩვენებური ფალავანი მონაწილეობას მიიღებს ოლიმპიურ თამაშებში ქვიშის ჭიდაობაში, რომელიც ამა წლის ოქტომბერში ამერიკაში ჩატარდება.

10-12 მაისი სასიხარულო აღმოჩნდა ჩვენი თავისუფალი სტილის ჭიდაობის სხვა ფალავნებისთვისაც. ამ დღეებში რუმინეთში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე (2002-2003წწ) ჭაბუკებს შორის პირველი ადგილისა და ჩემპიონის ტიტულის მფლობელი გახდა დავით კუჭუაშვილი (71კგ), ხოლო II ადგილი და შესაბამისი მედალი მოიპოვა გიგი ქურხულმა (60კგ).

იმავე 10-12 მაისს უკრაინაში გამართული საერთაშორისო ტურნირის ვიცე-ჩემპიონი გახდა ზურაბ ერბოწონაშვილი (74კგ).

ჩვენი თავისუფალი სტილის მოჭიდავეებსა და მათ მწვრთნელებს (რამაზ ასაბაშვილი, დავით ბაბუნიძე) ვულოცავთ ამ გამარჯვებას და ვუსურვებთ შემდგომშიაც გაეხარებინოთ ჭიდაობის საგარეჯოელი გულშემატკივრები თავიანთი წარმატებებით.

საბავშვო ბაღის სცენიდან მსოფლიო სცენისაკენ

პატარა ჩაილურელის დიდი წარმატება

ერთ ძალიან, ძალიან ლამაზ, კახურ, ძირძველ ქართულ სოფელში დაიბადა... და...

დაიბადა ალალ, გულალალ, თბილ, მოსიყვარულე, სახენათელ და ბაგემზიან ქართველად...

ისეთ ქართველად, თვალი სხვისას, მეზობლისას, მეგობრის სიკეთისკენ ალმაცერად რომ არ გაექცევა...

აი, ისეთად, გულსა და სულში მხოლოდ ქართული გენისა და სისხლის ჟიკჟიკი რომ აქვს...

სწორედ ისეთად, ალალ გულში მტრის სიძულვილის მაგიერ სიბრალული რომ აქვს... კაცურად რომ შეუყვება ცხოვრების ბილიკებს, სადაც საგზლად სიყვარული, სიალალე, პატიოსნება ექნება.

სადაც სიძნელეებსაც ღიმილით შეხვდება...

სადაც ნაცნობისთვის და უცნობისთვისაც საყრდენი, ბურჯი, იმედი იქნება...

ეს პატარა ბიჭი პატარაჩაილურელი ამავე სოფლის საჯარო სკოლის მეშვიდეკლასელი, საქართველოს სამაუწყებლო ტელევიზიის I არხის პროექტ „რანინას“ გამარჯვებული, ნოემბერში პოლონეთში საბავშვო ევროვიზიის საგზურის მფლობელი გიორგი როსტიაშვილია.

პატარაჩაილურელი კაცი დიდი მწვერვალებისკენ კაცური ნაბიჯებით მიმავალი, მსოფლიოს ადამიანთა გულების დასაპყრობად დღეს მშვილდივით მოზიდული... მანამდე?!

მანამდე იყო პატარა ჩაილურის ძალიან, ძალიან ლამაზი, თბილი, მყუდრო, მაგრამ ბავშვებისგან აჟრიამულებული საბავშვო ბაღი, მისი მენეჯერი მარინა შანიძე პოეტი, კომპოზიტორი, მუსიკოსი, მომღერალი, საოცარი ქმარ-შვილის იმედიანი დედა-ბოძი, რომლისთვისაც ყოველი დღე ბავშვებზე ზრუნვით იწყებოდა და დღესაც იწყება. ამ პატარა, ერთი ციდა ბიჭში მან ბაღში მისვლის დღიდანვე აღმოაჩინა ის საოცრება, რაც ჩვენ ვიხილეთ სცენაზე, ტელეეკრანიდან. ეს ზუსტად 10 წლის წინ იყო. ერთ დღეს, ბაღის „გამოსაშვებ ზეიმზე“ ქ-ნმა მარინამ რაიონის ხელმძღვანელობასთან ერთად მეც მიმიწვია და სწორედ იქ გავიცანი გიორგი – ქართულ ჩოხაში გამოწყობილი ერთი ციდა, მაგრამ გასაოცარი ხმით. მისი სურათი ჩვენი გაზეთის პირველ გვერდზეც „გამოვჭიმეთ“. გიორგი იქ სასკოლო ასაკის იყო უკვე... მარინა გამგემ 3 წელიწადში ისე შეაყვარა ქართული ფოლკლორული სიმღერები და ისე „დაუმუშავა ხმა“, სკოლაში ყოველ დღე ისმოდა გიორგის სიმღერა. შემდეგ კი, ძალიან მალე, თითქმის პირველკლასელი მარინამ თავის შვილს – საგარეჯოს ხალხური სიმღერის შემსწავლელი სახელოსნოსა და ანსამბლ „პატარა გარეჯელების“ ხელმძღვანელს ბექა ღვინაშვილს „გადაულოცა“ – ოღონდ დიდი იმედით და რწმენით - გიორგი ისეთ მწვერვალებს დაიპყრობდა, როგორიც საქართველოს შვილს შეეფერებოდა. ეს მართლაც ასე მოხდა... ამ ცოტა ხნის წინ მან საუკეთესო სოლისტის წოდებაც მიიღო რესპუბლიკურ კონკურსში 3000 ბავშვს შორის და ფულადი პრემიაც დაიმსახურა.

გიორგი ერთ წელზე მეტია საგარეჯოს მუსიკალურ სტუდია „მირელა“-შიც მარინა ურდულაშვილის ხელმძღვანელობით აგრძელებს მუშაობას და 26 მაისს სრულიად საქართველომ იზეიმა გიორგის პროექტ „რანინაში“ გამარჯვება.

როგორ, რა ფორმით გამოეხატა საგარეჯოს პატარა მომღერლისგან მონიჭებული თავისი დიდი სიხარული, მიეძღვნა მისთვის სიყვარული, მოფერებოდა და გზა დაელოცა ევროვიზიის მაყურებელთა სიმრავლისგან გადაჭედილი დარბაზისკენ, იმ სცენისკენ, რომელსაც ნოემბერში მილიონობით ადამიანი მიაპყრობდა მზერას და იქიდან ქართულ კულტურას, ქართულ ფოლკლორს, ქართული სიმღერის სილამაზესა და ხიბლს შეიგრძნობდა?! და ეს ემოციები საგარეჯოელებმა ბავშვთა საერთაშორისო დღეს – 1 ივნისს საგარეჯოს კულტურის სახლთან არსებული სკვერის სცენისკენ მიმართეს. ამ ლამაზ დღეს, მიუხედავად ასაკისა, იმდენმა ადამიანმა მოიყარა თავი, რომ სკვერი კი არა, ერეკლე მეორის ქუჩაც კი ვეღარ იტევდა გიორგის თაყვანისმცემლებს. და სიმართლე იქნება, თუ ვიტყვით, ეს დღე

მხოლოდ გიორგისა არ იყო, ეს დღე მან თავის თანატოლებს, თავისი მშობლიური კუთხის ყველა მცხოვრებს აჩუქა – ემოციებით დატვირთული, პოზიტიური, ნათელი და ამაღელვებელი.

ამ დღეს სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ გიორგის მეგობრები, ისინი, ვისთანაც ერთად ეზიარა ქართული სიმღერის იდუმალებით სავსე სილამაზეს, შეისწავლა, გულსა და სულში გააჟღერა და დიდ სცენაზე გამოიტანა, მსმენელამდე სიყვარულით, დიდი რუდუნებით მიიტანა...

საბავშვო ევროვიზია

სცენაზე სიხარულის, ბედნიერების მუხტი სკვერში, ქუჩაში თავმოყრილ ადამიანებზე გადაჰქონდათ საგარეჯოელ, პროექტ „რანინას“ მონაწილეებს... იყო მილოცვები, კეთილი სურვილები... გიორგის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი ერბოწონაშვილმა მიულოცა დიდი გამარჯვება, ფასიანი საჩუქარი, ჯილდო – 1000 ლარი გადასცა და გზა დაულოცა, გზა მომავლისკენ, რომელიც გიორგის საბოლოო წარმატებამდე მიიყვანს, ასახელებს პატარა საგარეჯოს, ლამაზ საქართველოს...

წელს საგარეჯოს გაუმართლა... მუნიციპალიტეტის მერის გიორგი ერბოწონაშვილის თქმისა არ იყოს: – ამ პატარა მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების, მომავალი თაობის დიდი შესაძლებლობები, დიდი პოტენციალი იგრძნობა, რომელიც ჩვენსავე ქვეყანას სიკეთედ და წინსვლით შეეხიდება.

მართლაც, საგარეჯო ოდითგანვე ცნობილი იყო წარმატებული სპორტსმენებით – მოჭიდავეებით, ფეხბურთელებით, რომელთაც ახლახანს მკლავჭიდელებიც შეემატნენ, მაგრამ თუ მსოფლიო მუსიკის არენას საგარეჯოელიც შეეჭიდებოდა, ამას ვერავინ წარმოიდგენდა. თუმცა... რატომაც არა?! გიორგისნაირი ბიჭები და გოგონები ანცვიფრებდნენ მსმენელსაც და მნახველსაც. საგარეჯოს ხალხური სიმღერების შემსწავლელი სახელოსნო (ხელმძღვანელი ბექა ღვინაშვილი), მუსიკალური სტუდია „მი-რე-ლა“ (ხელმძღვანელი მარინა ურდულაშვილი), საგარეჯოს ჯემალ ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლასთან არსებული ბავშვთა სტუდია, (ხელმძღვალი თეა ხატიაშვილი), საგარეჯოს ქორეოგრაფიული ანსამბლები „იმედი“ (ხელმძღვანელი თინათინ მეზვრიშვილი, ქორეოგრაფი გია კუჭუაშვილი), „სინათლე“ (ქორეოგრაფები ძმები მამარდაშვილები), საგარეჯოს I საჯარო სკოლასთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი „სამა“ (სამხატვრო ხელმძღვანელი და ქორეოგრაფი ნათია ალფაიძე), ბადიაურის „მზეკაბანი“ მხოლოდ გარეჯელ მაყურებელს როდი ხიბლავს.

გიორგის პროექტში გამარჯვება და წინსვლა, წარმატებები უსურვა, ასევე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ოთარ ჩალათაშვილმა. სიხარულს, სიყვარულს, სიამაყის ცრემლნარევი იყო გიორგის პირველი აღმომჩენის პატარა ჩაილურის საბავშვო ბაღის მენეჯერის მარინა შანიძის გამოსვლაში.

პატარა მომღერალს გაოცების, სიხარულის, ბედნიერების ცისარტყელები უნათებდნენ სახეს, როცა ტორტიც მიართვეს და ფოიერვერკებმა ამ ერთხელაც ამცნო საგარეჯოს, რომ ამ პატარა მუნიციპალიტეტში დიდი მომავლის ადამიანმა აიდგა ფეხი.

ჰოდა, ფეხბედნიერი ყოფილიყოს გიორგი როსტიაშვილის ფეხის შებიჯება მსოფლიოს მუსიკალურ სამყაროში.

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.
ტელეფონები: 599 502 842 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com

რედაქტორი:
თინათინ ილაური